საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 6 აპრილი. 2016 წ. №63 (7955), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ნაციონალები – უნამუსობისა და უმადურობის ულრანში!

ვერც ეს გახევებული პოლიტიკა უშველით!

ციხისძირიდან შეკვეთილში ასწლოვანი ტიტას ხის გადატანის ოპერაცია დასრულებულია. მშენებარე საკონცერტო დარბაზსა და ზღვას შორის არსებულ წიწვოვან ტყეში ყველაზე მაღალი და გამორჩეული ხე კარგად ჩანს საავტომობილო მაგისტრალიდან. სწორედ ესაა ის ხე, რომლის გადარგვის გამოც ნაციონალებმა ლამის საქართველოში ახალი რევოლუცია მოაყოლეს. ის ადამიანები, ვინც ვიცოდით, სად იყო ეს ხე და სად უნდა გადაეტანათ, გაოცებული ვიყავით იმ აჟიოტაჟით, რომელიც ატყდა. გასაგებია, მედიას სენსაციები და სკანდალები უნდა, მაგრამ ყველაფერ ამაში გასაკვირი ის იყო, რომ ის ადამიანები, რომლებიც თავიანთი პარტიისა და პოლიტიკური ძალის მიერ 10-წლიანი ტერორის გამო სირცხვილით თავს ვერ უნდა ჰყოფდნენ გარეთ, ყველაზე მეტად ყვიროდნენ და გმობდნენ ამ იდეის ავტორსაც და მის მხარდამჭერებსაც. არადა, იდეა ფრიად კეთილშობილური და მომხიბვლელი რომ იყო, ცხადია. სწორედ ამაზე გვინდა, დღეს გესაუბროთ.

პირადად მე, ძალიან კარგად ვიცი ციხისძირის ის სანერგე, სადაც ეს ხე იყო. საუკეთესო ადგილია ზღვის პირას. საუკეთესო, მაგრამ უპატრონოდ მიტოვებული და გავერანებული. ძნელია, ახლა აქაურობას სანერგე უწოდო. არადა, ოდესღაც აქ მართლაც კარგი სანერგე იყო. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ქვეყანასთან ერთად ეს სანერგეც უპატრონოდ დარჩა და განადგურდა. რისი წაღება და დატაცება მოხერხდა, წაიღეს და დაიტაცეს. ამ სანერგეში მომუშავე ადამიანებს ათი წელია, ხელფასი არ მიუღიათ.

მას მერე, რაც ტიტას ხის ირგვლივ აჟიოტაჟი ატყდა, მასალებს ვაგროვებდი საგაზეთო სტატიისთვის, ახლა კი, როცა ბევრი რამე ვარაუდებზე კი არაა დაფუძნებული, არამედ რეალურ ფაქტებზე, ყველაფერი სხვანაირად გამოჩნდა. როგორია რეალობა, ამაზე გვესაუბრება ჩვენი რესპონდენტი, აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვანო პაპუნიძე**.

იხ. 5 გვ.

„კეისრის ცოლი ეჭვებზე მაღლა უნდა იდგეს“

7

ქაჯანა არ გინახავთ? წადით! წადით! წადით!..

ყარაბაღში ცეცხლის შეწყვეტის განკარგულება მიიღეს

არაღიარებული რესპუბლიკის ე.წ. თავდაცვის მინისტრის განცხადებით, არაღიარებული მთიანი ყარაბაღის შეიარაღებულმა ძალებმა ცეცხლის შეწყვეტის განკარგულება მიიღეს. სომხეთის თავდაცვის უწყების ოფიციალური წარმომადგენლის თქმით კი მზადდება სამშვიდობო შეთანხმების პროექტი. საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შესახებ იტყობინება აზერბაიჯანული მხარეც. ქვეყნის თავდაცვის უწყების ინფორმაციით, ცეცხლის შეწყვეტა სომხურ მხარესთან შეთანხმებით მოხდა.

ბოლოს და ბოლოს, ტოვებენ რესპუბლიკელები მინისტრების სავარძლებს? 2

ბიზნესმენი პოლიტიკოსები და მათი ქონების ოფშორული სამალავები 3

მეტროპოლიტენის თანამშრომელთა ხელფასები 11

4

კოალიცია იშლება, საქმე კი წინ მიდის,

ანუ შემთხვევა, როცა ნგრევა ზოგჯერ უკეთესის მშენებლობის დასაწყისია

6

რას ნიშნავს რუსული პროპაგანდის ალზეევება?!

საქართველომ დაპირისპირებულ მხარეებს თავისი სივრცე მხოლოდ მოლაპარაკებებისთვის უნდა შესთავაზოს

„პაატა ბურჭულაძის საქართველოს განვითარების ფონდი“ უკიდურესად შეშფოთებულია მთიან ყარაბაღში მიმდინარე მოვლენებით და მოითხოვს საქართველოს ხელისუფლებისგან, გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა რესურსი, მედიაციის საშუალება და დასავლელი პარტნიორების ჩართულობა იმისთვის, რომ დაპირისპირება ფართომასშტაბიან კონფლიქტში არ გადაიზარდოს.

კონფლიქტის ესკალაცია, დიდი ალბათობით, გამოიწვევს მასში რეგიონის დიდი ქვეყნების — რუსეთისა და თურქეთის ჩართვას, რაც საფრთხეს შეუქმნის მთლიანად კავკასიის რეგიონის სტაბილურობას, გაზრდის რუსეთის მხრიდან საქართველოს ოკუპაციის საფრთხეს, შეანელებს საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესს და საფრთხის ქვეშ დააყენებს აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგოდერეფანს.

საქართველოს აქვს სტრატეგიულ-პარტნიორული ურთიერთობა აზერბაიჯანთან და თურქეთთან, ასევე მეგობრული ურთიერთობა სომხეთთან. საქართველო არის რეგიონის ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი პოტენციალი ესაუბროს, ეკონფლიქტის ყველა მხარეს, ითამაშოს აქტიური როლი რეგიონში მშვიდობისა და სტაბიურობის დასამყარებლად და შესთავაზოს მათ სივრცე სამმხრივი თუ მრავალმხრივი მოლაპარაკებებისთვის.

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო არის ევროკავშირთან და აშშ-სთან ყველაზე მეტად დაახლოებული ქვეყანა კავკასიის რეგიონში, ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს დასავლელი პარტნიორების მაქსიმალური მობილიზება იმისთვის, რომ მათ წინმსწრებად გადადგან ქმედითი ნაბიჯები, რათა მთიან ყარაბაღში განვითარებული ტრაგიკული მოვლენები არ გადაიზარდოს ფართომასშტაბიან სამხედრო დაპირისპირებაში, რაც საფრთხის ქვეშ დააყენებს რეგიონში მშვიდობასა და სტაბილურობას.

7 მილიონ ბოთლზე მეტი ქართული ღვინო – მსოფლიოს 26 ქვეყანაში

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2016 წლის იანვარ-მარტში საქართველოდან მსოფლიოს 26 ქვეყანაში ექსპორტირებულია 7 694 748 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 51%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 18 144 738 აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 20%-ით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს.

ამასთან, მსოფლიოს 10 ქვეყანაში ექსპორტირებულია 2 193 395 ბოთლი (0,75 ლ) ბრენდი, რაც 116%-ით აღემატება 2015 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 5 046 166 აშშ დოლარის ღირებულების ბრენდი — მატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 70%-ს აღწევს, — იტყობინება ღვინის ეროვნული სააგენტო.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეულია: რუსეთი — 4 077 797, უკრაინა — 1 088 862, ყაზახეთი — 784 844, პოლონეთი — 443 208 და ჩინეთი — 371 295 ბოთლი.

საანგარიშო პერიოდისთვის ექსპორტის მატება დაფიქსირდა: რუსეთი — 124% (4 077 797), უკრაინა — 66% (1 088 862), პოლონეთი — 26% (443 208), ლიტვა — 34% (137 448), ყირგიზეთი — 70% (67 746), აშშ — 19% (62 448), გერმანია — 89% (80 814), ჩინეთი — 2% (371 295), ბელარუსი — 297% (61 920), დიდი ბრიტანეთი — 40% (21 432) და სხვა.

მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა საანგარიშო პერიოდში 33,1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა.

იან კელი: ნატომ არაერთხელ განაცხადა, რომ საქართველოს აქვს ყველა ბერკეტი ალიანსში შესასვლელად

ველით, რომ ვარშავის სამიტზე ნატო კვლავ ვალდებულებას აიღებს, დაეხმაროს საქართველოს და ხელახლა დაადასტურებს მის ატლანტიკურ გზასაც, — განუცხადა ჟურნალისტებს საქართველოში აშშ-ს ელჩმა იან კელიმ.

„ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა საქართველოს ნატოში გაწევრიანების მისწრაფების მიმართ მტკიცეა. ეს გამოიხატება ჩვენს მხარდაჭერაში წვრთნის ჩატარებასა და უსაფრთხოების მიმართულებით, რომ საქართველო მზად იყოს, შეუერთდეს ალიანსს და ნატო იყოს მომზადებული მის მისაღებად. ნატო-მ არაერთხელ განაცხადა, რომ საქართველოს აქვს ყველა ბერკეტი ალიანსში შესასვლელად. ველით, რომ ვარშავის სამიტზე ნატო კვლავ ვალდებულებას აიღებს, დაეხმაროს საქართველოს და ხელახლა დაადასტურებს მის ატლანტიკურ გზასაც.

ზოგიერთი საპრეზიდენტო კანდიდატის უჩვეულო განცხადების მიუხედავად, დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიები მხარს უჭერენ ნატოს როლს მსოფლიოში. ვფიქრობ, ობამას ადმინისტრაცია ერთგულია იმის მიმართ, თუ რა გლობალური მნიშვნელობა აქვს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს. ამ ფაქტზე მეტყველებს შეერთებული შტატების პრეზიდენტსა და ნატოს გენერალურ მდივანს შორის თეთრ სახლში გუშინ გამართული შეხვედრაც“, — განაცხადა იან კელიმ.

ბოლოს და ბოლოს, ტოვებენ რესპუბლიკელები მინისტრების სავარძლებს?

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პოსტებს რესპუბლიკელი მინისტრები თინა ხიდაშელი, გიგლა აგულაშვილი, პაატა ზაქარეიშვილი ტოვებენ, მათთან ერთად შესაძლოა, თანამდებობა თამარ სანიკიძემაც დატოვოს. სახელდება მათი შემცვლელების ვინაობაც. არსებული ინფორმაციით, თინა ხიდაშელს თავდაცვის მინისტრის პოსტზე ირაკლი სესიაშვილი, გიგლა აგულაშვილს კი გარემოს დაცვის მინისტრის თანამდებობაზე ნინო სულხანიშვილი ჩაანაცვლებს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის ნაცვლად კი მის პოსტს ქეთევან ციხელაშვილი დაიკავებს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოსტზე კი თამარ სანიკიძის ნაცვლად, მაია მიმინოშვილის კანდიდატურა განიხილება.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში მოსალოდნელი სამთავრობო ცვლილებების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფენ.

„კითხვაზე, განიხილება თუ არა სამთავრობო ცვლილებების საკითხი, ამ თემაზე კიდევ ერთხელ განვმარტავთ პრემიერ-მინისტრის პოზიციას, რომ სამთავრობო ცვლილებების საკითხი დღის წესრიგში არც ერთ შეხვედრაზე არ დგას“, — განუცხადეს 20/30-ს მთავრობის ადმინისტრაციაში.

თავდაცვის მინისტრი მაიორ გიგა ავალიანის ოჯახს ესტუმრა

საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი და ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარი გაესაუბრა და მის მცირეწლოვან შვილებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

აფხაზეთიდან დევნილ მაიორ გიგა ავალიანის ოჯახს ესტუმრნენ. დევნილთა და განსახლების სამინისტრომ აფხაზეთიდან დევნილი მაიორის 6-სულიან ოჯახს 20 000 ლარის ოდენობის იპოთეკური სესხი დაუფარა. თავდაცვის მინისტრი მაიორის ოჯახის წევრებს

მაიორი გიგა ავალიანი ავღანეთში მტკიცე მხარდაჭერის მისიაში 52-ე ბატალიონის მეთაურის რანგში მსახურობს. მას მეუღლე და 4 მცირეწლოვანი შვილი ჰყავს. ავალიანების ოჯახმა რამდენიმე წლის წინათ თბილისში, გორის ქუჩაზე ოროთახიანი ბინა იპოთეკური სესხის საშუალებით შეიძინა.

„თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გიგა ავალიანი არის საქართველოს შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ოფიცერი. სამი დღის წინათ გავაცილეთ ის და მისი ბატალიონი ავღანეთში. გიგა ავალიანის წარმატებების აღსანიშნავად მცირე ფილმიც კი მოვამზადეთ თავდაცვის სამინისტროში. სწორედ, ასეთი უნდა იყოს ქართული ჯარის მომავალი, ამგვარ ოფიცრებს უნდა ეყრდნობოდეს ქართული შეიარაღებული ძალები“, — განაცხადა თინათინ ხიდაშელმა.

33 წლის მაიორი გიგა ავალიანი 17 წელია, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობს. სამხედრო კარიერის განმავლობაში მას მრავალი ჯილდო აქვს მიღებული: გენერალ მაზნიაშვილის, კვინიტაძის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის უწყებრივი მედლები და მედალი ლომგული. ყველაზე მნიშვნელოვანი ჯილდო - ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი ISAF-ის მისიაში გამოჩენილი გმირული თავდადებისთვის გადაეცა. გიგა ავალიანი 9 წლის იყო, როდესაც აფხაზეთი დატოვა, როგორც თავად ამბობს, სწორედ, ამ ფაქტმა განაპირობა მისი არჩევანი, ემსახურა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში.

არაბული ფონდების ხელმძღვანელები საქართველოში

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ოთარ დანელიას პირადი მოწვევით საქართველოში მსხვილი არაბული ფონდების ხელმძღვანელი პირები იმყოფებიან.

საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგში საინვესტიციო პოტენციალს არაბეთის ეკონომიკური განვითარების ქუვეითის სახელმწიფოს ფონდის ევროპისა და ცენტრალურიი აზიის გენერალური დირექტორი, არაბთა საკოორდინაციო ფონდის, რომელიც საუდის არაბეთის, ქუვეითის, აბუდაბისა და კატარის სახელმწიფოების ფონდებისგან შედგება და ოპეკის საერთაშორისო განვითარების ფონდის (OFID) წარმომადგენლები ადგილზე ეცნობიან.

ირიგაციის თანამედროვე მეთოდები სოფლის მეურნეობაში

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ირიგაციის თანამედროვე მეთოდების გავრცელების ხელშეწყობის მიზნით, საინფორმაციო კამპანიას აგრძელებს. მორიგი შეხვედრა მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკანში ჩატარდა. შპს „საქართველოს მელიორაციის“ წარმომადგენლებმა წყალმომხმარებლებს წვეთური და დაწვიმებითი ირიგაციის მეთოდების შესახებ პრეზენტაცია წარუდგინეს და მის უპირატესობაზე ინფორმაცია მიაწოდეს.

როგორც სამინისტროში აღნიშნავენ, ირიგაციის ეს მეთოდი მორწყვის ტრადიციულ, მიგდებით მორწყვის წესზე ბევრად მომგებიანია, ვინაიდან ელექტროენერგიის, წყლის და სასუქის ორჯერ ნაკლებ რესურსს საჭიროებს და მნიშვნელოვნად ზრდის მოსავლიანობას.

ირიგაციის თანამედროვე მეთოდების გავრცელების ხელშეწყობის საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში შეხვედრები წყალმომხმარებლებთან მთელი ქვეყნის მასშტაბით ტარდება.

ბელარუსში აჭარის რეგიონის პოპულარიზაცია დაიწყო

აჭარის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისა და რეგიონის ცნობადობის გაზრდის მიზნით აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის წარმომადგენლები მინსკის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში „Leisure 2016“ იღებენ მონაწილეობას, სადაც ქართულ ტრადიციულ სტილში მოწყობილ საგამოფენო სტენდთან სტუმრებს რეგიონის ტურისტული პოტენციალის ამსახველი სარეკლამო მასალების გარდა, საშუალება ექნებათ ქართული, ტრადიციული კერძები დააგემოვნონ, აჭარული ხაჭაპურის კულინარიულ მასტერკლასში მიიღონ მონაწილეობა და ხელვაჩაურის ფოლკლორული ანსამბლის მიერ შესრულებული ქართული, ხალხური სიმღერები მოისმინონ.

წელს პირველად, დეპარტამენტი მინსკში გამართავს „აჭარის დღე“-ს, რომელსაც ბელარუსიის წამყვანი მედიასაშუალებების, ტურისტული სააგენტოებისა და დიპლომატიური კორპუსის 100-მდე წარმომადგენელი დაესწრება. ღონისძიებაზე ქართული სამზარეულოს, ფოლკლორისა და ცეკვის პრეზენტაცია/პოპულარიზაცია იგეგმება. გარდა ამისა, აჭარის ტურისტულ პოტენციალის რეკლამირების მიზნით დეპარტამენტის წარმომადგენელი ფოლკლორულ გუნდთან ერთად მიწვეულია ბელარუსიის წამყვანი მედიასაშუალების „ბელარუს 1“ დილის გადაცემაში.

◎ ჟურნალისტური გამოძიება



ბიზნესმენი პოლიტიკოსები და მათი ქონების ოფშორული სამალავები

გამომძიებელ ჟურნალისტთა საერთაშორისო კონსორციუმმა გამოაქვეყნა ინფორმაცია ოფშორულ ფირმებში ათობით პოლიტიკოსის, ბიზნესმენის, საჯარო პირისა და სხვადასხვა ქვეყნის ლიდერის ჩრდილოვანი ფინანსური ოპერაციების შესახებ.

11 მილიონი საბუთი, რომელიც ჟურნალისტებს ხელში ჩაუვარდათ, ცხადყოფს, თუ როგორ იყენებდნენ ეს ადამიანები ე.წ. „ოფშორულ ზონებს“ ფულის გასათეთრებლად და გადასახადებისგან თავის ასარიდებლად.

ინფორმაცია, რომელიც 3 აპრილს „პანამის დოკუმენტების“ სახელწოდებით გავრცელდა, ასახავს 140 პოლიტიკოსის, ბიზნესმენისა თუ საჯარო მოხელის ჩრდილოვან ფინანსურ ოპერაციებს ოფშორულ ზონებში.

ორ-ნახევარ ტერაბაიტზე მეტი მოცულობის, დაახლოებით, 11-ნახევარი მილიონი დოკუმენტი, რომლებიც გერმანულ გაზეთ „ზედოიჩე ცაიტუნგს“ ჩაუვარდა ხელში, ბევრად აღემატება წინა წლებში გაჟონილ მსგავს საიდუმლო ინფორმაციას. საუბარია 2010 წელს ვიკილიქსისა და 2013 წელს სნოუდენის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებზე.

ეს ინფორმაცია შეიცავს გასული 40 წლის განმავლობაში დაგროვილ მილიონობით იმეილს, კორპორაციულ ჩანაწერს, ცხრილებს, რომლებმაც ოფშორული ფირმა „მოსაკ ფონსეკასგან“ გაჟონა.

კომპანიის დირექტორი რამონ ფონსეკა უარყოფს ფირმის ჩართულობას ნებისმიერ უკანონო ქმედებაში და ამბობს, რომ ეს არის პირადი ინფორმაციის წინააღმდეგ დაწყებული საერთაშორისო კამპანია.

„კონფიდენციალურობა ადამიანის წმინდა უფლებაა. მსოფლიოში არიან ადამიანები, რომლებსაც ეს არ ესმით. ჩვენ გვჯერა ამ უფლების და გავაგრძელებთ მუშაობას საიმისოდ, რომ კონფიდენციალურობა დაცული იყოს კანონის სფეროში. თუ კომპანია, რომელიც ჩვენ დავაფუძნეთ, რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება და ისინი ჩვენ კანონიერი გზებით დაგვიკავშირდებიან და ინფორმაციის გაცემას გვთხოვენ, ჩვენ ამას მყისვე გავაკეთებთ. და, ვიმეორებ, ჩვენ არასდროს ვყოფილვართ ამ ყველაფერში ჩართულნი, მხოლოდ მედიის მიერ ხდებოდა ეს“.

„მოსაკ ფონსეკადან“ გაჟონილი დოკუმენტების მიხედვით ირკვევა, რომ რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს უახლოესი გარემოცვის დახმარებით ოფშორულ კომპანიებში გაურკვეველი წარმომავლობის 2 მილიარდ დოლარზე მეტი აქვს გადანახული.

რუსულმა მხარემ ამ საგადასახადო დოკუმენტების გაჟონვა პუტინზე პირდაპირ თავდასხმად შეაფასა. როგორც კრემლის სპიკერმა დმიტრი პესკოვმა 4 აპრილს ჟურნალისტებთან განაცხადა, ეს არის „გამიზნული შეტევა პუტინის, რუსეთის, მთელი ქვეყნის სტაბილურობის მიმართ, რათა მომავალი არჩევნების წინ სიტუაცია აირიოს“.

პირველ რიგში, გვჭირდება საერთაშორისო ხელშეკრულება იმის შესახებ, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანა შექმნის საჯარო ბაზას ოფშორული კომპანიებისა თუ ფონდების შესახებ. ეს კი არ მოხდება, თუ პოლიტიკოსებს არ ვაიძულებთ იმოქმედონ...

ამავე დოკუმენტებშია ინფორმაცია საქართველოს ყოფილი პრემიერ- მინისტრის ბიძინა ივანიშვილის შესახებაც. ბიძინა ივანიშვილი ფლობს ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე 2011 წელს დაარსებულ კომპანია „ლინდენ მენეჯმენტს“, რომელიც მას პრემიერ-მინისტრობის დროს შევსებულ არც ერთ ფინანსურ დეკლარაციაში არა აქვს შეტანილი.

„საგადასახადო მართლმსაჯულების ქსელის“ აღმასრულებელი დირექტორი ჯონ კრისტენსენი რადიო „თავისუფლებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ამბობს, რომ საჭიროა საზოგადოებამ იმ ქვეყნებში, რომლებსაც ეს დოკუმენტები ეხება, პოლიტიკოსები აიძულოს, ზომები მიიღონ:

„პირველ რიგში, გვჭირდება საერთაშორისო ხელშეკრულება იმის შესახებ, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანა შექმნის საჯარო ბაზას ოფშორული კომპანიებისა თუ ფონდების შესახებ. ეს კი არ მოხდება, თუ პოლიტიკოსებს არ ვაიძულებთ იმოქმედონ, რადგან ოფშორულ სტრუქტურებს ძალიან ბევრი პოლიტიკოსი და მათი ოჯახის წევრი იყენებს. ათობით წლის განმავლობაში პოლიტიკოსები გვპირდებოდნენ, რომ ამ „საგადასახადო სამოთხეების“ წინააღმდეგ ზომებს მიიღებდნენ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ახლა კი დროა. პანამის დოკუმენტები ჩვენთვის განგაშის ზარი უნდა იყოს“.

„პანამის დოკუმენტების“ მიხედვით ასევე გასაჯაროვდა გადასახადებისგან თავის არიდებისა და ფულის გათეთრების ფაქტები სხვადასხვა ქვეყნის ყოფილი და მოქმედი ლიდერების მიერ — მათ შორის პოლიტიკოსის, ბიზნესმენისა თუ საჯარო მოხელის, მათ შორის უკრაინის პრეზიდენტის პეტრო პოროშენკოს, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის, ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის, სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის დევიდ კამერონისა და სხვა ათობით პოლიტიკოსისა თუ მათთან დაახლოებული ადამიანების ჩრდილოვანი ფინანსური ოპერაციები.

გიორგი გოგუა

◎ ასე ქვეყანა ვერ აშენდება!

ერთადერთი კინოთეატრი ტოტალიზატორად იქცა...

სულ რაღაც ერთი კვირა და, რუსთავს ახალი ობიექტი შეემატება.

ძველი შენობის აღდგენა-განახლების სამუშაოები შესატრი ტემპით წარიმართა, განახლდა ინტერიერი, ფასადი კი დაამშვენა ლამაზასოებიანმა წარწერამ: „ტოტალიზატორი“.

არადა, ეს შენობა გახლდათ რუსთავის ერთადერთი კინოთეატრი „რუსთაველი“, ისიც უნდა ითქვას, ბოლო დროს კინოს მაყურებლები ძალზე შემოაკლდა, მაგრამ..

კინოთეატრი თავის დროზე მეგობრობის გამზირზე გამორჩეულ ადგილას აშენდა.

მის გარშემო სხვადასხვა დროს კი მომრავლდა აზარტული თამაშების მოყვარულთა ობიექტები, რომლებმაც არაერთი ახალგაზრდა და ოჯახებიც კი შეიწირა.

ვინ იფიქრებდა, თუ ქალაქის ეს ულამაზესი და საკმაოდ სოლიდური ნაგებობაც მათი თანაზიარი გახდებოდა.

მე არაერთგზის მითქვამს, დამიწერია, რომ საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრი რუსთავი, რა თქმა უნდა, თბილისის შემდეგ, დღეს უმუშევართა ქალაქად იქცა. 47 სამრეწველო საწარმოს მფლობელი ქალაქი იძირება.

არადა, ყოველწლიურად საჯარო სკოლას 4 ათასი მოზარდი ამთავრებს, ათასზე მეტი ახალგაზრდა კი სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის დიპლომითა და მაღალი კვალიფიკაციის პროფესიით გვევლინება, მაგრამ...

დემოგრაფები ამტკიცებენ, რომ 2050 წლისათვის მოძმე აზერბაიჯანი 30 პროცენტით გაიზრდება, სომხეთი 20 პროცენტით, საქართველო კი... დიახ, ჩვენდა სავალალოდ 30 პროცენტით... შემცირდება.

მატება იქნება მხოლოდ არაქართველ მოსახლეობაში.

არადა, ეროვნული აღმავლობის წლებში მე რუსთავის დემოგრაფიული საზოგადოების დამფუძნებელი და მისი პირველი თავმჯდომარე ვიყავი.

სულ რაღაც 5 წელიწადში მრავალშვილიანთა ოჯახები ერთი ორად გაიზარდა.

ჩვენი ქალაქი გამრავლდა და გამდიდრდა, ნოდიების 13, ნათენაძეების 11, გეგეშიძეების 9-შვილიანი ოჯახებით, და ასე მრავლდებოდა ქართული ჯიში და გენი.

მაშინ მხარში მედგნენ ქალაქისა და საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, მეც ვეხმარებოდი და ვახალისებდი შეჭირვებულ მრავალშვილიან ოჯახებს.

ქართველ დედებს რომ უყვართ და უხარიათ მრავალშვილიანობა, ამაში იმხანად ერთხელ კიდევ დავრწმუნდი.

იმ წლებში რუსთავი 170 ათას მოსახლეს ითვლიდა. დღეს კი 120 ათასიც არ არის.

და თუ ფაბრიკა-ქარხნების მაგივრად სამორინეები, ტოტალიზატორები, რესტორნები გაიხსნება, რუსთავი მალე აღარ იარსებებს.

სანამ დროა, ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა მოგვხედოს. მერე ძალიან, ძალიან გვიანი იქნება.

ეს ბოროტებაც ხომ ისევ და ისევ ნაციონალების, მიშას ყაჩაღების ნაავკაცარ-ნამამაძაღლარია, ჯერ კიდევ 2006 წელს ვიღაცას ძალად აყიდვინეს ქალაქის ეს ერთადერთი კულტურის კერა, ულამაზესი და უნიკალური ნაგებობა, კინო „რუსთაველი“.

არადა, ქვეყანა, სადაც ათიათასობით უმუშევარია, მათ ჯერ სამრეწველო ინდუსტრიას რომ დაუნგრევ და აზარტული თამაშების ინდუსტრიით ჩაანაცვლებ, იმ ქვეყნის საქმე სასიკეთო რომ ვერ წავა, ამას კითხვა უნდა?

დროა, ქვეყნის ხელისუფლებამ რუსთავს მიხედოს, ქალაქს, რომელიც ნაციონალების ხელში 9 წელი ინგრეოდა, ხოლო ოცნებელების 4-წლეულში ასაღორძინებლად თითი თითზე არ დაუკარებიათ.

გივი ჯახუა,
რუსთავიდან.

P. S. 1969 წელს კოლხურ კოშკში ინტერვიუსათვის მიწვეულს ქართული სიტყვის დიდოსტატმა, ერის დიდმა მოამაგემ, ბატონმა კონსტანტინემ სიტყვასიტყვით ჩამაწერინა, რუსთავი რომ არა, დღეს საქართველოს საზღვარი სოღანლუღთან, ანუ ფონიჭალასთან იქნებოდაო.

რუსთავი სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქია. მას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება.

გ.ჯ.

თანხის დაბანდებისას გამოიჩინეთ სიფრთხილე!

საქართველოს ეროვნული ბანკი მომხმარებელს აფრთხილებს

„ბოლო პერიოდში გახშირდა სხვადასხვა იურიდიული პირების მხრიდან მაღალი საპროცენტო სარგებლის დაპირების სანაცვლოდ თანხების სესხის ან თამასუქის სახით მოზიდვის რეკლამირება.

ნებისმიერი პირის უფლებაა, მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი სახსრების განკარგვის შესახებ. თუმცა, სამომავლოდ, დაბანდებული თანხების დაკარგვის რისკის თავიდან აცილების მიზნით, მოვუწოდებთ მოსახლეობას, რომ მიიღონ გონივრული და ინფორმირებული გადაწყვეტილება. თანხის დაბანდებამდე აუცილებლად გაითვალისწინონ, რომ მაღალი საპროცენტო სარგებელი, სხვა თანაბარ პირობებში, გულისხმობს ასევე მაღალ რისკს.

მოვუწოდებთ მოქალაქეებს, საკუთარი სახსრების სხვა პირისათვის გადაცემისას გამოიჩინონ განსაკუთრებული სიფრთხილე, აუცილებლად გადაამოწმონ ინფორმაცია. გაითვალისწინონ, მათ შორის: ექვემდებარება თუ არა კონკრეტული იურიდიული პირი სახელმწიფოს რეგულირებას და მხოლოდ შესაძლო რისკების შესწავლისა და გააზრების შემდგომ მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილება“, — ნათქვამია ეროვნული ბანკის განცხადებაში.

„მაესტროს“ ახალი დირექტორი ჰყავს

მაპა ასათიანის ადვოკატის გიორგი გვენეტაძის ინფორმაციით, ტელეკომპანიის პარტნიორთა კრებაზე გადაწყდა, რომ „მაესტროს“ ახალი დირექტორი ზურაბ ნაყეური იქნება.

„ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ „მაესტროს“ დირექტორი იქნება ზურაბ ნაყეური. ვინაიდან დავის წარმოშობის საფუძველი არ იყო, ის დაინიშნა დირექტორად. ნაყეური დღესვე დარეგისტრირდება დირექტორად და შეუდგება საქმიანობას“, — განაცხადა გიორგი გვენეტაძემ პარტნიორთა კრების შემდეგ. ამასთან, ახალ დირექტორს მხარს არ უჭერს „მაესტროს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი მამუკა ღლონტი. ამის შესახებ ჟურნალისტებს მისმა ადვოკატმა პაატა კიკვიძემ განუცხადა.

ქართულ მედიასივრცეში მიმდინარე პროცესებისა და პოლიტიკის თემაზე მომუშავე გადაცემების საქმიანობის ანალიზს დღესაც იმ დასკვნებამდე მივყავართ, რომ საქმე გვაქვს ჟურნალისტური ეთიკის ნორმებისა და ობიექტური ინფორმაციისა და ანალიზის მიწოდების პრინციპის სრულ უგულებელყოფასთან. საზოგადოებაში მყარად არის დამკვიდრებული მოსაზრება, რომ ეს ყველაფერი გარკვეული პოლიტიკური სუბიექტის ინტერესებს ემსახურება და ეს ურთიერთობა არ არის უანგარო. არც ისაა საიდუმლო, რომ დამკვეთი მმართველი პარტია არ გახლავთ.

არც დამოუკიდებლობის აღდგენამდე, არც მას შემდეგ, სამწუხაროდ, ჩვენში არ ყოფილა დროის მცირე მონაკვეთიც კი, როცა შეიძლებოდა გვეთქვა, რომ მედია არის თავისუფალი. რაც ყველაზე სამწუხაროა, ყველა დროში, ქვეყნის მასშტაბით პოლიტიკური კლიმატის განმსაზღვრელი მედიასაშუალებები გამოხატავდნენ იმ მომენტისთვის ძალაუფლების მქონე პოლიტიკური ძალის ინტერესებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველა გავლენიანი და ფართო შესაძლებლობების მქონე მედიასაშუალება ყველა დროში, აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებაზე მორალური ტერორის გზით ხელისუფლების განმტკიცების პროცესში.

კოალიცია იშლება, საქმე კი წინ მიდის,

ანუ შემთხვევა, როცა ნგრევა ზოგჯერ უკეთესის მშენებლობის დასაწყისია

და თუ ეს გასაგები იყო ე.წ. იმპერიის ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, სრულიად გაუგებარი და აუხსნელია დამოუკიდებელი ქვეყნის რეალობაში. ამიტომაც არის მკვეთრად უარყოფითი ქართველი საზოგადოების დიდი უმრავლესობის შეფასებითი დამოკიდებულება ქართული ჟურნალისტიკის „როლისადმი“. იმ უმრავლესობის დამოკიდებულება, რომელმაც სიცოცხლის რისკის ფასად, კიდევ ერთხელ სცადა, შეეცვალა ცხოვრება უკეთესობისკენ.

იქმნება მცდარი შეხედულება, რომ ნეგატივსა და სკანდალზე ორიენტაციას მაყურებლის მიზიდვის სურვილი განაპირობებს. სინამდვილეში, აქცენტების აღნიშნული მიმართულებით გადატანა სიმართლის გადაფარვას და რეალობის სხვაგვარად წარმოჩენას ემსახურება. ეს სქემა სხვადასხვა დროში სხვადასხვა შინაარსით იტვირთებოდა, მაგრამ სქემა არ იცვლებოდა.

დღევანდელი რეალობა ერთი სპეციფიკურობით ხასიათდება. წინა პერიოდებისგან განსხვავებით, პირველად, მედიადირიჟორის როლში არ გვევლინება მმართველი პარტია. კარგია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არ გაიმეორა წინამორბედთა შეცდომა და უარი თქვა მედიის მონოპოლიზებაზე, მაგრამ ფაქტია, რომ ამ დამოკიდებულებით საზოგადოებამ და სახელმწიფომ ვერაფერი მოიგო... ვერც ჟურნალისტიკამ. ხელისუფლებამ არაფერი იღონა იმისთვის, რომ სქემა მოშლილიყო და ამით ის მივიღეთ, რომ მედიის „მართვის პულტი“ ისევ და ისევ ამ საქმეში ორი ათეული წლის „წარმატებული“ გამოცდილების მქონე მავნებელთა ჯგუფს დარჩა. ნახევარნაბიჯებითა და ნახევარლონისძიებებით საქმე წინ ვერ მიდის და ამიტომაც გვიწევს ცხოვრება ნახევრად შემდგარ სახელმწიფოში.

„ნაციონალური მოძრაობის“ პორტრეტმა დასრულებული სახე დიდი ხნის წინათ მიიღო და მისი შეცვლა შეუძლებელია, რადგან იმ დანაშაულების ჩამოწერა ვერ მოხდება და არ მოხდება, რაც ამ ყაჩაღებისა და ჯალათების ბანდამ ჩაიდინა. მათი გეგმები შემდეგი მოცემულობის საფუძველზე იგება: **რადგან დამატებითი მომხრეების მიზიდვა განუხორციელებელი ამოცანაა, მაქსიმალურად უნდა მოხდეს არსებული რესურსის, საკუთარი ამომრჩევლის** (ბოლო არჩევნების შედეგების მიხედვით, დაახლოებით სამასი ათასი) შენარჩუნება, ხოლო ყველა დანარჩენის განწყობების იმ ხარისხით მოშლა, იმ კონდიციამდე დაქვეითება, რომ რაც შეიძლება ბევრი არ წავიდეს არჩევნებზე.

„ქართული ოცნების“ შეცდომებისა და პასიურობის ფონზე „ნაცები“ ჯერჯერობით ახერხებენ თავიანთი მაქსიმუმის ამოქაჩვას. არჩევნებამდე დარჩენილ დროში სახელისუფლებო პარტიის მიდგომები თუ არ შეიცვლება, დამაჯერებელი გამარჯვების მოპოვება გაჭირდება, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან სასტარტო მდგომარეობა, როგორც წესი, ბევრ რამეს განსაზღვრავს ხოლმე.

შექმნილი პოლიტიკური ვითარების ანალიზი კარგით მინდა დავიწყო: გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ გიორგი კვირიკაშვილის პოლიტიკურ ლიდერად დაწინაურება უაღრესად გონივრული გადაწყვეტილება იყო. მოწინააღმდეგეები ჯერაც ვერ გამოსულან შოკის მდგომარეობიდან **(სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ირაკლი ღარიბაშვილმა ურთულეს პერიოდში, მრავალი ობიექტური (მძიმე მემკვიდრეობა) და სუბიექტური** (მაგ. – კოაბიტაცია) **ხელისშემშლელი პირობების გარემოში ღირსეული გზა განვლო და ერთგვარი ყინულმჭრელის ფუნქცია წარმატებით შეასრულა. ეს ნიჭიერი კაცი მომავალში აუცილებლად იპოვის თავის ადგილს პოლიტიკაში.)**

მეორე კარგი ამბავი ის გახლავთ, რომ წარმატებით დასრულდა პარტია „ქართული ოცნების“ სრული სტრუქტურული და საკადრო რეორგანიზაციის ურთულესი ერთწლიანი პროცესი. ადგილობრივ დონეზე, სადაც თვალი და ყური მიმიწვდება, აშკარად შეინიშნება საბრძოლო განწყობის მუხტის ზრდა და აშკარად იგრძნობა მიმდინარე წლის გამოწვევების (პირველ რიგში საპარლამენტო არჩევნები მაქვს მხედველობაში) წარმატებით დაძლევისთვის მზადყოფნა.

მესამე კარგ ამბავს დიდი მღელვარებითა და დიდი რწმენით ველოდებით – ქვეყნის მომავალი მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა საარჩევნო სიას წარმოადგენს პარტია „ქართული ოცნება“. ველოდებით თვისებრივად განახლებულ მიდგომებს – ასეთია ხალხის მოთხოვნა. ეს უნდა იცოდეს „ქართულმა ოცნებამ“, რადგან ხალხის მოთხოვნაა საუკეთესო საყრდენი შიდა კომპრომისებისა და უხერხულობების მოხსნის საქმეში.

კარგი ამბავი როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში სხვაც ბევრია, მაგრამ ამაზე შემდეგ, არჩევნები რომ მოახლოვდება. აქვე ისიც მინდა, აღვნიშნო, რომ როდესაც ვამბობ, კარგი ბევრია-მეთქი, სულაც არ ვგულისხმობ, რომ შესაძლებლობების მაქსიმუმი გაკეთდა – არამც და არამც. პირიქით, საერთო სურათი ჯერაც ძალიან შორსაა სასურველისგან, მაგრამ ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ იმ რეალობაში, რომელიც შეიქმნა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგად (იმ ობიექტურ და სუბიექტურ გარემოებებს ვგულისხმობ, რომელზეც არაერთხელ მისაუბრია) სრული, ძირეული გარდატეხა ვერ მოხდებოდა. სწორედ ამის გამო არის საეტაპო მნიშვნელობის მოახლოებული საპარლამენტო არჩევნები.

გიორგი კვირიკაშვილის ფიგურის წინწამოწევამ მაცოცხლებელი ძალის მქონე ახალი ტალღის როლი შეასრულა საზოგადოების იმ ნაწილში, ვისაც ხელისუფლების მიმართ საპროტესტო განწყობა გაუჩნდა იმის გამო, რომ სახელმწიფო დამნაშავეები ჯერაც დაუსჯელები არიან და ყველა დანაპირები არ სრულდება. ზოგს თითქოს იმედიც გადაეწურა, მაგრამ... ხალხმა იგრძნო განახლების რესურსის არსებობა, იგრძნო ახალი ეტაპის დაწყება. საზოგადოების ფსიქოლოგიის რა კანონებითა და კანონზომიერებებით აიხსნება ეს შემობრუნება, როცა ხელშესახები კონკრეტული შედეგები ჯერჯერობით არ არსებობს, ჩემთვის ძნელი ასახსნელია, მაგრამ ფაქტია, რომ იმედი დაბრუნდა.

ახლად შექმნილმა გარემოებებმა ყველაზე მძიმე მდგომარეობაში პრეზიდენტი მარგველაშვილი ჩააგდო. მან ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობის პირობებში, ამ პიროვნების ემოციური ხასიათის გათვალისწინებით, ადვილად მოახერხა, გამხდარიყო მხოლოდ მისთვის (ან არცთუ მხოლოდ მისთვის) საინტერესო პოლიტიკური თამაშის მონაწილე. კონსტიტუციის ჩარჩოებიდან ნებისმიერი გასვლის მცდელობა იწვევდა ყოფილი პრემიერის მყისიერ მწვავე რეაქციას, რასაც ფარით და მახვილით ეგებებოდნენ, ძველ სასიცოცხლო წყაროებს მიბმული, ჩასაფრებული მედია და ჩასაფრებული ე.წ. სამოქალაქო სექტორი და ატყდებოდა ხოლმე ერთი ვაიუშველებელი „მარწუხებისგან თავის დახსნისთვის მებრძოლის“, „ხალხის მიერ არჩეულის“ დასაცავად. **ხელისუფლებასთან კონფლიქტი მარგველას ჰაერი და წყალია, მისი სუბიექტური ინტერესებიდან გამომდინარე. ეს სუბიექტური ინტერესები რას ემსახურება, სხვა საკითხია** (ამ თემას სამი წერილი მივუძღვენი).

ორი წლის განმავლობაში არაერთხელ „წარმატებით“ გათამაშებულმა სცენარმა გიორგი კვირიკაშვილის მოსვლისთანავე ფასი დაკარგა. ახალი პრემიერის მშვიდი რეაქციები უებარი წამალი აღმოჩნდა მოსალოდნელი პროვოკაციების თავიდან ასარიდებლად. ბოლო ასეთი გამოვლინება გახლდათ, რბილად რომ ვთქვათ, სრულიად გაუგებარი (სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე) თავდასხმა ზურაბ აბაშიძეზე. კოვზი ნაცარში ჩავარდა, მარგველას „მაგარ-მაგარმესიჯებიანი“ გუნდი კი – საგონებელში. მდიდრულ სასახლეში „მდიდარი სექსისა“ რა გითხრათ და, ავლაბრის გაჩახჩახებულ კაბინეტებში ქართული პოლიტიკა რომ არ კეთდება და ვერც გაკეთდებოდა, ამას დიდი ხნის წინათ „ვწინასწარმეტყველებდი“.

მიმდინარე დღეების მთავარ თემად მაინც კოალიციის დაშლა-არდაშლის საკითხი იქცა. კოალიცია რომ აუცილებლად დაიშლებოდა, ამაზე პოლიტიკოსებიც, ექსპერტებიცა და საზოგადოების პოლიტიკურად აქტიური ნაწილიც ყოველთვის თანხმდებოდნენ. აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა დაშლის სავარაუდო თარიღი. საუბრები იმასთან დაკავშირებით, რომ კოალიცია არ დაიშლება და მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობის ფორმაზე მიდის მსჯელობა, არადამაჯერებელია. არჩევნების დღემდე კოალიციის ფორმატის შენარჩუნება და არჩევნებზე ცალკე სუბიექტებად დარეგისტრირება ზიანის მომტანი იქნება კოალიციის ყველა წევრისთვის, გარდა „ქართული ოცნებისა“.

აღნიშნული მიდგომა გასაგები იქნებოდა, კოალიციის სუბიექტებს ბარიერის გადალახვის პრობლემა რომ არ ჰქონდეთ, მაგრამ...

მოდით, არჩევნებზე დამოუკიდებელ სუბიექტებად გასვლის, ანუ საარჩევნო ბლოკის დაშლის გადაწყვეტილება მივიღოთ როგორც მოცემულობა და ამის მიხედვით გავაკეთოთ ანალიზი. ჯერ შევაფასოთ თითოეული პარტიის შესაძლებლობები, ცალცალკე აღებული, ხოლო შემდეგ ვცადოთ სხვადასხვა კომბინაციაში მათი მოქცევა:

მრეწველების მდგომარეობა, ვფიქრობ, ყველაზე მძიმედ უნდა ფასდებოდეს. განვლილ წლებში მათ ყველა რესურსი ამოწურეს და არც ამ პარტიის ცალკეული წევრები აღარ არიან პოლიტიკისთვის საინტერესო. სავარაუდო პარტნიორებთან ურთიერთობაში მათი ერთადერთი არგუმენტი იქნება საარჩევნო ფინანსების მობილიზაციის ხარისხი;

კონსერვატორების მდგომარეობაც უაღრესად რთულია. ძნელია მათ ერთობას პარტია ეწოდოს. მრეწველებთან შედარებით კონსერვატორებს ერთი კოზირი აქვთ. ესაა ზვიად ძიძიგურისა და გიგა ბუკიას პიროვნული ღირსებები. მიმდინარე საპარლამენტო ციკლში მათ, როგორც დეპუტატებმა, საკმად კარგად წარმოაჩინეს თავი. გონივრული იქნება, თუ ისინი შეელევიან დამოუკიდებელი პარტიის ლიდერების ამბიციებს (ფაქტია, რომ ეს საქმე არ გამოსდით. სამი წელი სრულიად საკმარისი დრო იყო კარგი პარტიის გასაკეთებლად) და „ოცნებასთან“ შერწყმაზე იზრუნებენ. ასეთ პირობაზე „ოცნებამ“, წესით, უარი არ უნდა თქვას. კარგი მაჟორიტარობის კანდიდატები „ნა ულიცე ნე ვალიაიუტსაო“;

„ეროვნული ფორუმის“ შანსებიც, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის შემთხვევაში, ნულის ტოლია, ამიტომ, ფორუმელებს დღესვე უნდა ჰყავდეთ შეგულებული სავარაუდო პარტნიორები. ამ ორგანიზაციის მთავარი სირთულე ბიძინა ივანიშვილთან დაუძლეველი პიროვნული პრობლემების არსებობაა. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია განიხილებოდეს ის ვარიანტი, რაც დავუშვით კონსერვატორების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ თუნდაც გუბაზ სანიკიძე ძალზე საინტერესო პოლიტიკური სახეა.

მრეწველები, კონსერვატორები და ეროვნული ფორუმი, უნდა ვივარაუდოთ, თავს არ იტყუებენ და თეორიულადაც არ განიხილავენ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ალბათობას. ჩამოთვლილი პარტიებიდან, ვფიქრობ, თითოეულს აქვს პოლიტიკაში დარჩენის სავარაუდო გეგმის რამდენიმე ვარიანტი:

ა) ერთმანეთთან შეკრან საარჩევნო ბლოკი – ეს იქნებოდა გონივრული გადაწყვეტილება, რადგან ეს პარტიები იდეურად შორს არ არიან ერთმანეთისგან, მაგრამ... აქ არის ერთი მაგრამ – მათი ერთობა, შესაძლოა (მაღალი ალბათობით), არ აღმოჩნდეს საკმარისი საარჩევნო ბარიერის დაძლევისთვის;

ბ) ერთად ეძებონ მოკავშირეები პარლამენტს მიღმა დარჩენილ პარტიებში. ამ სივრცეში სავარაუდო პარტნიორებად შეიძლება განიხილებოდნენ ნინო ბურჯანაძის პარტია და „პატრიოტთა ალიანსი“. აქ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება.

ჩამოთვლილ სუბიექტებს შორის მოლაპარაკებების გამართვის შემთხვევაში ინიციატივა ნინო ბურჯანაძისა და „ალიანსის“ ხელში იქნება, რადგან რეიტინგებით ბევრად აღემატებიან ხსენებულ სამ საპარლამენტო პარტიას. ვფიქრობ, ამ ხუთეულის (ოთხეულის, სამეულის – ოღონდ ბურჯანაძისა და „ალიანსის“ სავალდებულო მონაწილეობით) ერთ ბლოკად გაერთიანება ძალზე სასარგებლო იქნება ქართული პოლიტიკის გაჯანსაღებისთვის. **მხედველობაში მაქვს მოვლენების ის სავარაუდო განვითარება, რომ აღნიშნული ბლოკი, ძალიან დიდი ალბათობით, მეორე პოზიციაზე ჩაანაცვლებს „ნაციონალურ მოძრაობას“;**

იხ. 8 გვ.

ნაციონალები – უნამუსობისა და უმადურობის ულრანში!

ვერც ეს გახლეკილი პოლიტიკა უშველით!

(პირველი გვერდიდან)

ბატონი ვანო მრავალი წელი იყო ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორი. იგი აქტიურად მონაწილეობდა ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის (დადიანების პარკის) დენდროლოგიური განაშენიანების პროექტის დამუშავებაში, ასევე ბათუმის გამწვანების საქმეში. მისი უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით მრავალი ნერგი თუ დიდტანიანი მრავალწლიანი ხე დაირგო როგორც ბოტანიკურ ბაღში, ისე ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოსა და ქალაქის ქუჩებში. იგი ასევე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების მიმართულებით პროექტებისა და პროგრამების ხელმძღვანელი, თანაავტორი და ექსპერტია. ამიტომ ყველაზე მეტი ეთქმის ამ მხრივ.

— ბატონო ვანო, ამ ხის გადარგვასთან დაკავშირებული აჟიოტაჟი ჩაწყნარდა. ხემ შეკვეთილში დაიდო ბინა. ახლა ცივი გონებით რომ განვსაჯოთ, რა იყო ამ აურზაურში თითიდან გამოწოვილი და რა სიმართლე.

— აჟიოტაჟი და ბრალდებები იმდენად ყურით მოთრეული, გაზვიადებული, იაფფასიანი და ღიმილის მომგვრელია, რომ სერიოზული კომენტარი არც ღირს. აშკარად საქმე გვაქვს პირადად ბიძინა ივანიშვილის, ზოგადად კი, „ქართული ოცნების“ და მისი ხელისუფლების დისკრედიტაციის მცდელობასთან. არ გამოვრიცხავ, რომ ეს წინასაარჩევნოდ ხალხის შეცდომაში შეყვანასაც ისახავს მიზნად. ბიძინა ივანიშვილს ჩემი დასაცავი არაფერი სჭირს, მაგრამ ასეთი მზაკვრობის, უსაფუძვლო ბრალდებების და უსამართლობის წინააღმდეგ ხმა ხომ უნდა ამოვიღოთ, სიმართლე ხომ უნდა თქვას ვინმემ?

— ვთქვათ სიმართლე, მეც ამიტომ გთხოვეთ ინტერვიუ.

— დავიწყებ ფაქტებით და მოვლენებით. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ქობულეთის რაიონში, კონკრეტულად, ციხისძირში, ბობოყვათში, ბუკნარსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისის და ადგილობრივი კუთვნილების მრავალწლიან ფოთლოვან და წიწვოვან მცენარეთა რამდენიმე სანერგე იყო. აქ გამოჰყავდათ მცენარეთა ნერგები, რომელთაც ქალაქების, კულტურული ობიექტების, ბაღ-პარკების, გზების გასამწვანებლად იყენებდნენ. ნერგების ნაწილს ჰყიდნენ კიდეც, რომ სამეურნეო ანგარიშზე მყოფთ ფული ჰქონოდათ. ერთ-ერთი სანერგე ციხისძირში, იმ ტერიტორიაზე იყო, საიდანაც ბატონ ბიძინა ივანიშვილს სურს ხეების გადარგვა.

1990 წლიდან, ცხოვრების წესის შეცვლის შემდეგ, ეს ნერგებიც მიატოვეს. ნერგების საგრძნობი ნაწილი, რომლის ხელით მოთხრა შეძლეს, დაიტაცეს, ნაწილის გადარგვა კი ბოტანიკურ ბაღში, ბათუმის უნივერსიტეტის ეზოში და ქალაქის გამწვანებაში მოესწრო. დანარჩენი გატყევდა, გადაიზარდა. მოსახლეობა იქ შეშასაც კი ამზადებს. ზოგი ადგილი მთლიანად გაჩეხეს და ბოსტნები მოაწყვეს. ასეა ამ კონკრეტული, ყოფილი სანერგის შემთხვევაშიც. დღეს ამის გამკეთებელი ზოგიერთი ადგილობრივი მცხოვრები პროტესტითაც კი გამოდის, ბიძინა ივანიშვილი გვაქცევს და გვღუპავსო.

არადა, ამ კონკრეტულ, გატყევებულ ყოფილ სანერგეში შემორჩენილი ეს გადასარგავად გამიზნული მცენარეები არ არის რომელიმე სუბიექტის საკუთრება. არ ქმნიან იქ რაიმე განსაკუთრებული დანიშნულების ლანდშაფტს, არ ემსახურებიან არც ტურისტულ და არც რაიმე ეროვნულ ფასეულობათა წარმოჩენას, ასეთ დატვირთვას მეტ-ნაკლებად შეიძენს, თუ უფრო თვალსაჩინო ადგილებზე გადაირგვება, უკეთეს პირობებში გააგრძელებს სიცოცხლეს და მართლაც წარმტაც გარემოს, ბუნების კუთხეებს შექმნის. მაგალითად, ხელოვნების დაწესებულებების, ცენტრების, ტურისტული ობიექტების მიმდებარე ტერიტორიებზე, ბაღ-პარკებში, დასვენებისა და გართობის ზონებში და ა.შ

რამდენადაც ვიცი, სწორედ ასეთი მიზანია დასახული ამ შემთხვევაშიც. ყოფილი სანერგეედან ხეების გადარგვა ძირითადად შეკვეთილში მშენებარე დიდი საკონცერტო დარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზეა განზრახული, იქ სადაც ბატონი ბიძინა ივანიშვილი იურმალას მსგავსი ხელოვნების ცენტრის შექმნას აპირებს.

რაც შეეხება ხეების სიდიდეს და ასაკს. როგორც ბიოლოგი, ბოტანიკოსი სოფლის მეურნეობის პროფესიონალი და აკადემიის წევრი სწორედ მცენარეთა ინტროდუქციის მიმართულებით, ვაცხადებ, რომ დღევანდელი ტექნიკისა და ტექნოლოგიის პირობებში მათი გადარგვა, გახარება და სიცოცხლის გაგრძელება პრობლემა არ არის.



შეკვეთილის საკონცერტო დარბაზი

— თქვენ ერთხელ ჩემთან საუბარში განაცხადეთ, რომ ბოტანიკური ბაღის დირექტორად მუშაობის დროს ბათუმის მაშინდელი ნაციონალი მერი ითხოვდა, ბოტანიკური ბაღის ტერიტორია ნაწილ-ნაწილ გაყიდულიყო და იქ რესტორნები და კაფე-ბარები აშენებულიყო.

— სწორედ ასეა, მაშინ სად იყვნენ ეს ვითომდა „პატრიოტი“, ქვეყნისა და ერის გულშემატკივარი მთავარი ოპოზიციონერები, როცა პრეზიდენტყოფილი მიხეილ საკაშვილი და მისი თანამზრახველები ბათუმის ბოტანიკური ბაღის ნაწილ-ნაწილ გაყიდვას აპირებდნენ და სწორედ ბიძინა ივანიშვილის ფონდ „ქართუს“ მრავალმილიონიანი ინვესტიციით შემოსვლამ ააღებინათ ხელი ამაზე? **სწორედ ამ ინვესტიციით მოწესრიგდა ბაღის მთლიანად დანგრეული ინფრასტრუქტურა, სწორედ ფონდმა „ქართუმ“ შემოიტანა საზღვარგარეთიდან ასობით ძირი ეგზოტიკური მცენარე და საჩუქრად გადასცა ბოტანიკურ ბაღს. სოლიდური სახელფასო დანამატები დაენიშნათ ბაღის თანამშრომლებს, რაც დღესაც ეძლევათ, ბაღში მცხოვრები ოჯახებისთვის კი ქალაქში აშენდა მრავალბინიანი სახლი.**

— სამწუხაროდ, ბათუმის ბოტანიკურ ბაღს, რომელსაც ასი წლის განმავლობაში მინიჭებული ჰქონდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სტატუსი და ბიოლოგიური და აგრარული მეცნიერების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის საუკეთესო პირობები ჰქონდა, იზრდებოდა შესაბამისი დარგის მრავალი მეცნიერი და სპეციალისტი, წინა ხელისუფლების დროს წაართვეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტატუსი, ამჟამად იგი მხოლოდ პარკის ტიპის დაწესებულებაა. თუმცა, ამაზე შემდეგ...

ახლა კი ვიტყვი, რომ ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო სტატუსის დაკნინებაში დიდი წვლილი შეიტანეს ბათუმის ნაციონალმა მერმა რობერტ ჩხაიძემ და შემდგომ მისმა მიმდევრებმა.

თავად განსაჯეთ, რამდენი უნიკალური მცენარე შეეწირებოდა მის გასხვისებას და იქ რესტორნების, სასტუმროების, ატრაქციონების და სხვა „ტურისტული“ ობიექტების მშენებლობას. **მაშინაც არ იღებდნენ ხმას და თავადაც მონაწილეობდნენ საქართველოს ტყეების მასობრივ გაჩეხვასა და საზღვარგარეთ გაყიდვაში. არც ახლა იღებენ ხმას იმაზე, რომ, ფაქტობრივად, აღარ არსებობს მწვანე კონცხის ცნობილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.** არც მისი სამართალმემკვიდრე ინსტიტუტი, ხოლო სამეურნეო ბაზა, ათობით ჰექტარი მრავალწლიანი ნარგავები და სხვა სავარგულები გაჩეხილ-განადგურებულია და უცხოელ ინვესტორებზე მისაყიდადაა გამზადებული.

— 650-ტონიანი ხის ხმელეთიდან საზღვაო ტრანსპორტზე, შემდეგ ისევ სახმელეთო გზით მის საბოლოო ადგილსამყოფლამდე გადატანა, თავისთავად, უნიკალური ოპერაციაა. მე კარგად ვიცნობდი საქართველოს საზღვაო სანაოსნოს შესაძლებლობებს, მაგრამ მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა. მართალი გითხრათ, ნამდვილად არ მეგონა, თუ დღეს ჩვენს ზღვაოსნებს ან შესაბამისი ტექნიკა ჰქონდათ, ან პროფესიონალური ცოდნა იმისა, რაც გააკეთეს. ბარაქალა მათ! არ ვყოფილვართ მთლად წყალწაღებული.

ბატონო ვანო, თუ გეგულებათ მსოფლიო პრაქტიკაში მსგავსი ფაქტი, რაც ქართველმა სპეციალისტებმა ამ ხის ტრანსპორტირებისას მოახერხეს?

— არა, ნამდვილად არ მეგულება. დავიწყოთ იმით, რომ ამოდენა ხის გადარგვის შემთხვევა არ ყოფილა. მეორეც, ეს ხომ უბრალოდ ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა და ჩარგვა არ იყო. ოპერაცია იმითაცაა უნიკალური, რომ ეს ხე ჯერ სახმელეთო გზით მიიტანეს ზღვამდე, შემდგომ ზღვით შეკვეთილში ჩაიტანეს. იქიდან ისევ სახმელეთო ტრანსპორტით 400 მეტრზე გადაიტანეს და ისე ჩარგეს. აი, ესაა ამ პროცესის უნიკალურობა. მე ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ვარ და დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ მსოფლიოში მსგავსი რამ დღემდე არ მომხდარა.

აქვე მინდა დავამატო, რომ ამ ოპერაციას, როგორც შემდგარ ფაქტს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისთვისაც, არა მარტო საზღვაო და საინჟინრო დარგის სპეციალისტებისთვის, არამედ ბიოლოგიის მეცნიერებისთვისაც. ეს შემთხვევა შემდგომი კვლევისა და დაკვირვებისათვის შესანიშნავ შესაძლებლობას იძლევა.

მსგავსი ოპერაცია ჯერ მარტო ხმელეთზე რომ ჩატარებულიყოს, ამის ანალოგიც არ არსებობს და ასე კომბინირებული, ხმელეთი-ზღვა-ხმელეთი ხომ არ ყოფილა. თანაც მხედველობაშია მისაღები, რომ ეს ყველაფერი ხდებოდა მარტის თვეში, როცა ზღვა მშვიდი არაა და ამინდიც ჭირვეულობს. მე ვთვლი, რომ ბიძინა ივანიშვილმა, რომელიც ამის მოთავე და სულისჩამდგმელი იყო, დიდი საქმე გააკეთა.

ამიერიდან ტიტას ასწლოვან ხეს მნახველი არ მოაკლდება. სხვას რომ თავი დავანებოთ, წელს, 26 მაისს, შეკვეთილის ახალი საკონცერტო დარბაზი გაიხსნება, რომელიც ათი ათასზე მეტ მაყურებელს დაიტევს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ უნიკალურ ხეს ამდენი კაცი ნახავს ყოველი კონცერტის შემდგომ.

— ბატონო ვანო, ციხისძირიდან შეკვეთილში გიგანტური ხის გადატანის და დარგვის უნიკალურ ოპერაციას არა მარტო ქართული პრესა აშუქებდა, არამედ უცხოურმა წამყვანმა მედიასაშუალებებმაც დაუთმეს ადგილი. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ოპერაცია გინესის რეკორდების წიგნშიც უნდა შევიდეს.

— მე ვიცი გინესის წიგნში როგორი ფაქტები შეაქვთ. აქედან გამომდინარე, ეს მოვლენა საქართველოს შესაბამისმა ორგანიზაციამ უნდა წარადგინოს გინესის რეკორდების წიგნში შესატანად. დარწმუნებული ვარ, იგი შევა გინესის წიგნში. ეს კი ჩვენი ქვეყნის კიდევ ერთი გამარჯვება იქნება საერთაშორისო ასპარეზზე.

P. S. წერილი მზად იყო დასაბეჭდად, როცა ცნობილი გახდა, რომ ციხისძირის სანერგე მეურნეობაში, სადაც ტიტას ხე იყო, შეიტანეს იტალიიდან მიღებული 12 სახეობის 87 ძირი ხის ნერგი. იგი სანერგეს ბიძინა ივანიშვილმა გადასცა საჩუქრად. მე და ბატონი ვანო პაპუნიძე შეკვეთილში მაშინ ვიყავით, როცა მუშები იტალიიდან ახალმიღებულ ნერგებს სხვადასხვა ობიექტზე აგზავნიდნენ. გული მოგვიკვდა, როცა გავიხსენეთ ოდესღაც აჭარისა თუ საქართველოს სხვა რეგიონებში რამდენი სანერგე მეურნეობა იყო, სადაც გამოყვანილი უნიკალური ნარგავები საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა კუთხეში იგზავნებოდა. დღეს კი ეს დარგი განადგურებულია.

ამას წინათ უკრაინაში გახლდით, ხარკოვის ოლქში, არაერთი სანერგე შემოვიარე. თვალსა და გულს ახარებს იქაურობა. ვარდისა და მარწყვის ნერგები წამოვიღე. ვენახის ლერწებიც. წინა წელს ჩამოტანილმა ვარდმა და მარწყვმა ჩინებულად იხარა ურეკში. კარგი პირი უჩანს ვაზსაც. როგორც უკრაინაში მითხრეს, სანერგე მეურნეობა მომგებიანი ბიზნესია. სამწუხაროდ, ჩვენთან, ჩვენი ბედოვლათი ჩინოვნიკების წყალობით, საუკეთესო ბიზნესი ხე-ბუჩქებისა თუ ყვავილების ბიუჯეტის ფულით საზღვარგარეთიდან, კერძოდ, თუქეთიდან შემოტანაა. ამბობენ, ამ ბიზნესში კარგა დიდი ფული კეთდებაო. იქნებ ასეც იყოს, მაგრამ ვის სცალია ამის გასარკვევად? იმ პოლიტიკურ დომხალში, დღეს საქართველოში რომაა გამეფებული, ყველას თავისი სკამის დარდი აქვს. საქვეყნო საქმეზე კი ცოტა თუ ფიქრობს.

როგორც გვითხრეს, ციხისძირის სანერგის ადგილას დაგეგმილია თანამედროვე პარკის გაშენება ლამაზი ბილიკებით, თანამედროვე განათებით, სრულყოფილი ინფრასტრუქტურით. ქობულეთის გამგეობაში აცხადებენ, რომ ახალშემოტანილი მცენარეების დარგვით პარკის მშენებლობის სამუშაოები, ფაქტობრივად, დაიწყება. პარკი პარკად, მაგრამ ციხისძირის ულამაზეს ბუნებრივ ლანდშაფტს ეს კიდევ უფრო დაამშვენებს. გაიზრდება აქ ჩამოსული ტურისტების რაოდენობა. რაც მთავარია, აქაურ მოსახლეობას დამატებითი შემოსავალი და სამუშაო გაუჩნდება. მიწის ფასები კი მნიშვნელოვნად გაიზრდება.

ამ ისტორიაში კიდევ ერთი რამ მენიშნა — მავანთა უმადურობა. ის ხალხი, ვინც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლამდე დიდს არაფერს წარმოადგენდა, და ხმას არ იღებდა, დღეს ეკუთვნის თუ არ ეკუთვნის, გაუთავებლად ლაქლაქებს, მაშინ, როცა ნაციონალებმა ციხისძირში საპროტესტო კარვები დასცეს, გვერდით ამოიყენეს არასამთავრობათა ნაწილი და ტიტას ხის გადარგვის წინააღმდეგ ლამის ჯვაროსნული ლაშქრობა წამოიწყეს, ბიძინა ივანიშვილის მიერ გადიდკაცებული და გადეპუტატებული „ხალხის რჩეულები“ დუმდნენ. რა ჰქვია ამას, პოლიტიკური უმწიფრობა, შიში თუ უმადურობა? ალბათ, ყველა ერთად აღებული და ამას დამატებული კადრების უხეიროდ შერჩევის მანკიერი პრაქტიკა.

ბატონო ბიძინა! ხომ ვიცით, რომ, ვინც ხოხვისთვისაა გაჩენილი, იგი ვერ იფრენს?

ამირან კილურაძე,
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ აჭარა-გურიის
რეგიონალური საკორესპონდენტო ბიუროს ხელმძღვანელი

რას ნიშნავს რუსული პროპაგანდის აღზევება?!

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ საქართველოს მოსახლეობაზე ზეწოლის უმთავრესი თემები ნატოში, ევროკავშირში შესვლაზე, ვიზალიბერალიზაციაზე და, რაც მთავარია, რუსეთის საინფორმაციო ომზე გადის. დღე ისე არ ჩაივლის, რომ ელექტრონულმა და ბეჭდურმა მედიამ, რამდენჯერმე არ შეგვახსენოს გზა, რომელიც ქვეყნის მოსახლეობამ „აირჩია“ და რომელსაც ევროატლანტიკური ჰქვია.

ნატო-ევროკავშირში შესვლა რომ აბსტრაქტულად არ მოგვეჩვენოს, პრაქტიკულ „შედეგსაც“ გვიდებენ წინ – ვიზალიბერალიზაციას და ევროკავშირთან თავისუფალ ვაჭრობას, თუმცა ორივეს, როგორც ჩანს პრობლემები აქვს და არც ისეთი იოლი მისაღწევია, როგორსაც ხელისუფლება გვიყვებდა. აი, რაც შეეხება რუსულ პროპაგანდას და მასთან ბრძოლას – სხვა განზომილებაა.

რუსეთი ის ქვეყანაა, რომლისგანაც ცუდის მეტს არაფერს უნდა ელოდე, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ანტირუსულ შეგონებასაც გაუჭნდა ბზარი და რაც დრო გადის, ის უფრო ფართოვდება. მედია-პოლიტიკის მხრიდან აგორებულ, თითქმის 25-წლიან ანტირუსულ გაკვეთილებს, დამჯერი მოსწავლე, ანუ ხალხი უკვე არასერიოზულად აღიქვამს, რაც არ არის გასაკვირი.

რუსეთის გულშემატკივართა რიცხვი იზრდება, თანაც არა მცირე დოზით, არამედ პირიქით, რამაც საგონებელში ჩააგდო ქართული პოლიტიკა, მისი ევროატლანტიკური ჭკუის დამრიგებელიც. და არის ატეხილი ერთი ვაიუშველებელი, არიქა, რუსეთის პროპაგანდა მოდისო – გაჰყვირიან ისინი და მილიონობით დოლარს ფლანგავენ რუსული პროპაგანდის შესაჩერებლად, ანუ ანტირუსული პროპაგანდის გასაძლიერებლად.

დასავლური განგაში რომ მარტო დასავლეთში დარჩენილიყო, არა გვიშავდა რა, მაგრამ ის რა განგაშია, თუ სხვაზეც არ იმოქმედებს?! და იქ ადუღებული პროპაგანდისტული ლავა მოედინება ჩვენსკენ, ჩვენისთანა ქვეყნებისკენ ერთი მესიჯით – იმას, რასაც ჩვენ ვამბობთ, მართალია და უნდა დაიჯეროთო. არავითარი არჩევანი – მარტივი დემოკრატიისთვის დამახასიათებელი – გინდ დაიჯერე, გინდ არა. პირდაპირი ბრძანებაა – უნდა დაიჯერო. და ჩვენც ვიჯერებთ, უფრო სწორად ისინი, ვინც იმ დასავლეთის საკენკით იკვებება და პირჩატკბარუნებულები გვაწვებიან „რუსული პროპაგანდის“ გაძლიერების თაობაზე.

ერთ-ერთ ასეთს თვალი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1 აპრილის ნომერში მოვკარი. ავტორი იგორ რუსიშვილი, უფრო სწორად ამ გვარის და სახელის (იქნებ ფსევდონიმის) მატარებლის მიერ „მომზადებული“ ვრცელი წერილია, ვრცელი მტკიცებებით, რუსულ პროპაგანდასთან დაკავშირებით. აი რას წერს ის: **„ისტორიულად მოსკოვი თავის სამეზობლოს „საკუთარი ინტერესების“ განსაკუთრებულ სფეროდ განიხილავს, სადაც სხვა ქვეყნებს ჩარევის უფლება არ აქვთ. ამის ნათელი დასტურია ბოლო წლებში მოლდოვაში, საქართველოსა და უკრაინაში განვითარებული მოვლენები. სამივე ქვეყანაში, მოსკოვი საკუთარი გავლენის განსამტკიცებლად ძალისმიერ სამხედრო მეთოდებს იყენებს და, ამავდროულად, ცდილობს გაატაროს ე.წ. „რბილი ძალის“ პოლიტიკა“.**

„უტყუარი“ არგუმენტებია – არაფრით განსხვავებული სახელმწიფო პოლიტიკისგან, რომელმაც უკეთესი და დამაჯერებელი ვერაფერი მოიგონა. ავიღოთ თუნდაც ეს მოსაზრება: „საკუთარი ინტერესების განსაკუთრებულ სფეროდ თვლის“. რა არის ამაში გასაკვირი ან გასაკრიტიკებელი? რუსეთი, რომ ერთადერთი იყოს მსოფლიოში ამ თვალსაზრისით, მაშინ კიდევ არაუშავს, მაგრამ ის ერთ-ერთია, თანაც არა პირველი. პირველობას, გავლენათა სფეროთა დარგში ის ვერაფრით შეეცილება ვერც აშშ-ს, ვერც ევროპის ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ნიდერლანდები, პორტუგალია, ესპანეთი... რომლებიც თავიანთ ყოფილ კოლონიებს ისეთივე მენტალიტეტით უდგებიან, როგორც წინათ.

თუ აშშ ბოლო ხანს კასპიის ზღვის აუზს, კავკასიას, საკუთარი ეროვნული ინტერესების სფეროდ აღიარებს, ტერიტორიებს, რომლებიც ათეულ-ათასობით კილომეტრითაა დაშორებული აშშ-დან, რუსეთს რომ ჰქონდეს მსგავსი ამბიციები, გასაკვირია?

რუსეთი ბირთვული სახელმწიფოა, ამასთანავე, გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი. ტერიტორიის თვალსაზრისით – უდიდესი სახელმწიფო მსოფლიოში. ის ვერ ეგუება მის საზღვრებთან ნატოს სამხედრო ბლოკის დასადგურებას. რომელი სახელმწიფო, მითუმეტეს „სუპერი“ შეეგუება ამას?

აშშ-მა ყველაფერი იღონა გაკომუნისტებული კუბის მოსასპობად – თავდასხმა, ეკონომიკური სანქციები და ა.შ. გაავებულმა, ლამის მესამე მსოფლიო ომი დაიწყო, როდესაც მისი საზღვრების სიახლოვეს საბჭოთა რაკეტები გამოჩნდა. ამერიკელთა გამძვინვარება მსოფლიოს ახალ ისტორიაში „კარიბის ზღვის კრიზისის“ სახელითაა შესული.

მარტივად დავსვათ კითხვა – თუ აშშ-სთვის შეიძლება, რატომ არ შეიძლება რუსეთისთვის? პირველს, არაფერი აკავშირებს მოლდოვასთან, უკრაინასთან, მითუმეტეს კავკასიასთან, გარდა „ეროვნული ინტერესებისა“. რუსეთს კი მრავალსაუკუნოვანი კავშირები აქვს კავკასიასთან, მათ შორის საქართველოსთან – მარტო ერთად ცხოვრება რად ღირს, რომ აღარაფერი ვთქვათ ნათესაურ, ქრისტიანულ, მართლმადიდებლურ კავშირებზე.

„საქართველოსთან მიმართებაში რუსული მედიასაშუალებები იყენებენ რამდენიმე სტერეოტიპულ მიდგომას. ეს, პირველ რიგში, აპელირებაა ქართველი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ფასეულობებზე, როგორებიცაა რელიგია, ოჯახი და ტრადიციები. რუსული მედიასაშუალებები ცდილობენ, ქართველ საზოგადოებას მოახვიონ აზრი, რომ სწორედ რუსეთი არის ამ ფასეულობების დამცველი. ... ამ გზით მოსკოვი ცდილობს დაარწმუნოს საქართველო, რომ პროდასავლური კურსი და მისწრაფებები ქვეყნის „გადაშენებას“ გამოიწვევს“.

ბარაქალა ავტორის აღმოჩენას, რომ არა ეს (აღმოჩენა), არ „გადავშენდებოდით“?!

თქვენი მონა-მორჩილი ის პიროვნებაა, რომელიც სისტემატურად უყურებს მთავარ რუსულ ტელეარხებს. აქვს გამოწერილი რუსული პრესა, პარალელურად უსმენს და უყურებს დასავლურ ტელეკომპანიებს და ვერ იხსენებს ვერც ერთ რუსულ სპეცგადაცემას, რომელიც მიმართული ყოფილიყო საქართველოზე ზეწოლისთვის.

ამ თემაზე რუსული ტელეარხების პროდუქცია თვით რუსეთის შიდა ბაზრისთვის არის გამიზნული – იმ პრობლემების საწინააღმდეგოდ, რომლებიც დასავლური „ცივილიზაციის“ შეჭრამ განაპირობა. „რელიგია, ოჯახი, ტრადიციები“ ის სათუთი თემებია, რაზეც სახელმწიფო აკეთებს აქცენტს. და არა მარტო აკეთებს, კონკრეტულ ნაბიჯებსაც დგამს მათ დასაცავად. რუსეთი ის ქვეყანაა, რომელმაც აკრძალა გეი-ცხოვრების პროპაგანდა, მითუმეტეს გეი-პარადები.

დიახ! რუსეთი ერთადერთია მსოფლიოში, ვინც კბილებით იცავს მართლმადიდებლობას, საერთოდ რელიგიას. იცავს ახალგაზრდებს არასასურველი გადახრებისგან. ეს ის ქვეყანაა, რომელიც აშენებს ეკლესიებს, მეჩეთებს, მაშინ როდესაც „დემოკრატიული“ ევროპა აშენებულ ეკლესიებს ხურავს, ხშირ შემთხვევაში კერძო სექტორზე ყიდის, რომელიც თავის მხრივ ყოფილ ეკლესიებში კაფეებსა და ბარებს ხსნის. აი, რაც შეეხება მეჩეთებს – მათმა რაოდენობამ ყოველგვარ მოლოდინს

გადააჭარბა. მეჩეთების მშენებლობაში იქაურ მთავრობებს წვლილი არ მიუძღვით. მეჩეთებს მუსლიმი თემის მიერ შეგროვილი და საუდის არაბეთისა თუ ყატარის ფულით აშენებენ.

ახლა, რაც შეეხება საქართველოს მოსახლეობის „დარწმუნებას“, რომ პროდასავლური კურსი და მისწრაფებები „ქვეყნის გადაშენებას გამოიწვევს“. 1991 წლის დეკემბერში, როდესაც საბჭოთა კავშირის პირველმა და უკანასკნელმა პრეზიდენტმა გორბაჩოვმა საჯაროდ, ტელევიზიით განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი დაშალა და ყველამ საკუთარ თავს მიხედეთო, თავისთავად იგულისხმებოდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლად განვითარება – დამოუკიდებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკით. საქართველოც ამ გზას დაადგა და ნაცვლად თავისი საკუთარი პოლიტიკის წარმოებისა – სხვისი აწარმოა, სხვას ჩაეხუტა, თანაც ისეთს, რომელიც მაშინაც და დღესაც რუსეთის დაკნინება-დასუსტებაზე, ამასთანავე, დაქუცმაცებაზე ოცნებობდა და ოცნებობს.

მიუხედავად ამისა, რუსეთს არასდროს უთქვამს, ვისთან უნდა ვიმეგობროთ და ვისთან არა. მან რაც თქვა მარტივი გასაგებია – არ შემოუშვათ სხვა ქვეყნის ჯარი თქვენს ტერიტორიაზე. რუსეთს არასოდეს უთქვამს, რომ საქართველოს ან მოლდოვის ევროკავშირთან ასოციირების წინააღმდეგია. რაც მან თქვა არის მარტივი – არ სურს მოლდოვის, საქართველოს, უკრაინის ნატოში ყოფნა.

ანალოგიურად მოიქცეოდა აშშ-ი, რომ მექსიკა, კანადა, კარიბის ზღვის ქვეყნები „ვარშავის პაქტში“ გაწევრიანებულიყვნენ. უფრო მეტიც, სანქციებს დაუწესებდა მათ ევრაზიულ კავშირში შესვლა რომ გადაეწყვიტათ. მაგალითი კუბაა, ნახევარსაუკუნოვანი ამერიკული ეკონომიკური ბლოკადის მსხვერპლი. რაც შეეხება უკრაინას, რუსეთს წინააღმდეგობა არ გაუწევია ამ ქვეყნის ასოციირებული წევრობისთვის, მაგრამ განაცხადა, რომ ასოციირებას ხელი არ უნდა შეეშალა რუსულ-უკრაინული ეკონომიკური კავშირებისთვის.

ევროკავშირის მაშინდელმა შეფმა ბაროზომ, აშშ-ის კარნახით, მკვახედ განაცხადა – ან ევროკავშირი, ან რუსეთი. მოგვიანებით, თვით ბრიუსელმა უარყო არაპრაგმატული მიდგომა და თქვა, რომ ასოციირება არ შექმნის რუსეთთან ეკონომიკური კავშირების პრობლემებს, თუმცა ახლა ახალმა უკრაინულმა ხელისუფლებამ ჰყარა ტლინკი, გაწყვიტა რა საუკუნოვანი კავშირები რუსეთთან, რითაც უაღრესად გააუარესა საკუთარი ქვეყნის ყოფა.

რუსეთის ამგვარი პოლიტიკა კიდევ ერთხელ დადასტურდა რუსეთისა და სერბეთის საგარეო საქმეთა მინისტრების პრესკონფერენციაზე, სადაც ლავროვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კრემლი წინააღმდეგი არ არის სერბეთის ევროკავშირში შესვლაზე.

„რუსული პროპაგანდა ცდილობს დააჯეროს ქართველი საზოგადოება, რომ ევროკავშირთან ასოციირების შეთანხმება საშუალებას არ მისცემს ქვეყანას, ევროპულ ბაზარზე თავი დაიმკვიდროს და ალტერნატივად უსაზღვრო რუსულ ბაზარს სთავაზობს“, – წერს ავტორი.

აი, ეს კი ნამდვილი პროპაგანდაა, ვინაიდან ამტკიცებს იმას, რაც სინამდვილეში არ არის. არც ერთ რუსულ ტელეარხს არ მიუმართავს მსგავსი ხერხისთვის ზემომოყვანილი სამეულის დასარწმუნებლად. სამწუხაროდ, საქართველოს პოლიტიკას, პოლიტოლოგიას, მედიას ისეთი წარმოდგენა აქვს, თითქოს კრემლი წამსაც არ უშვებს ხელიდან, რათა საქართველო დასავლეთში არ გაექცეს. ვიმეორებ, მოსკოვმა არ გაგვიშვა?

ვიყოთ გულახდილები და ვთქვათ ის, რაც არის. განა დალაგებული ცხოვრებაა იმ ქვეყნებში, რომლებიც 10 წელიწადია ევროკავშირის წევრები არიან? ბულგარეთის, რუმინეთის, სხვა ახალი წევრების ცხოვრებას გადაავლეთ თვალი და თქვით, თუ ისინი ვერა და ვერ შეეგუენ ევროკავშირს, საქართველო შეეგუება? არადა, ეს ქვეყნები გაცილებით განვითარებული იყვნენ (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა), ვიდრე ჩვენ. მაგალითად, ბულგარეთის სამრეწველო პოტენციალი აჭარბებდა თურქეთისა და საბერძნეთის პოტენციალს. მათი „განვითარება“ ევროკავშირს არ სჭირდებოდა და ამდენად გაჩანაგდა სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და ყველა ის დარგი, რითაც ცნობილი იყვნენ. უმუშევარმა მოსახლეობამ ევროპას მიაშურა – დაეცარიელა რა საკუთარი სახლი.

„დაიმკვიდრებს“ თუ არა თავს ევროპულ ბაზარზე საქართველო? კითხვა მარტივი საპასუხო არ არის. იმისთვის, რომ საქართველომ თავი დაიმკვიდროს ევროპულ ბაზარზე, ერთი რამ უნდა გააკეთოს – ხარისხიანი პროდუქცია შექმნას. პროდუქციის შექმნას დიდი ინვესტიციები სჭირდება. გარდა ამისა, საწარმოების გახსნა, კვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური კადრების მოძიება, გასაღებაზე ფიქრი და რეკლამაში დიდი ფულის ხარჯვა. არის სხვა ფაქტორებიც, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. მარტო ჩამოთვლილის არარსებობა ნიშნავს თუ არა ევროპის ბაზარზე არ და ვერ დამკვიდრებას?

მავანი უმალ მეტყვის – ღვინო და მინერალური წყალიო. ერთიც და მეორეც უხვადაა ევროპაში. ჩვენი „დახმარება“ მას არ სჭირდება. გარდა ამისა, არსებობს კვოტები, რომლის მიხედვით შენ უფრო ნაკლებს შეიტან იმ ბაზარზე, ვიდრე გეგმავ. ასე დაემართა უკრაინას. ნაცვლად ათასისა, შეიტანეს ასი. მაშ რა ვქნათ, რა ვიღონოთ, დაველოდოთ ინვესტიციებს, ახალი კადრების აღზრდას და ა.შ. და მანამდე ქამრები შემოვჭიროთ?

რამდენი ველოდოთ? რუმინეთი და ბულგარეთი (უკვე ევროკავშირის წევრები)10 წელიწადია ელოდებიან, ამაოდ. როდესაც შენი პროდუქცია ჯერჯერობით დსთ-ს ბაზრისთვის მისაღებია, როდესაც იქ გაყიდული პროდუქციით აქ დარგის განვითარების შანსი გიჩნდება – არ უნდა გამოიყენო?

ტყუილია ის, რომ რუსეთი თავისკენ გვექაჩება. მან ანგარიში გაგვიწია და დაგვრთო ნება მის ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და მინერალური წყლების შეტანისა. თვალი გადაავლეთ სტატისტიკას – საით მეტი ქართული პროდუქტი მიდის – რუსეთში თუ ევროკავშირში? ნაცვლად იმისა, რუსეთში, დსთ-ში შესატანი პროდუქციის გაფართოებაზე ვიფიქროთ, სხვაზე ვფიქრობთ და წამითაც არ ვიზიარებთ ჩვენი მეზობლების – აზერბაიჯანისა და სომხეთის გამოცდილებას.

„კრემლი ცდილობს, საქართველოდან ახლო აღმოსავლეთში ერთეულების წასვლა წარმოაჩინოს „საფრთხედ მთელი კავკასიის რეგიონისთვის“. ამავდროულად, რუსული მედია, როგორც წესი, „მოკრძალებულად“ იკავებს თავს იმაზე საუბრისგან, რომ ФСБ-ს ოფიციალური მონაცემებით, „ისლამურ სახელმწიფოში“ რუსეთის 7000 მოქალაქეა გაწევრიანებული“, – წერს ავტორი და, რომ იტყვიან, თავისსავე სიცრუეში ყურებამდე ჩაფლული – ვერ ხედავს, რომ დაუკრეფავში გადადის.

და ბოლოს რუსულ „დესანტზე“ საქართველოში, ანუ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიაზე, რომლებიც პრორუსულად ღაღადებენ. ავტორის მიერ მოყვანილი, თითზე ჩამოსათვლელი ორგანიზაციები ვერაფრით შეეპაექრება ოფიციალური ვაშინგტონის მიერ საქართველოში გახსნილ და მსუყედ დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ინსტიტუტებს, მედიას და ა.შ. ხაზს ვუსვამ, აშშ-ის სახელმწიფო ფულით დაფინანსებულს! „რუსული ორგანიზაციები“ კი რუსული სახელმწიფო ფულით არ არის დაფინანსებული. ისინი იმ ქართველი ბიზნესმენების მიერ ფინანსდებიან, რომლებიც კარგა ხანია, რუსეთში მოღვაწეობენ და სრულიად სამართლიანად მოითხოვენ რუსეთ-საქართველოს შორის ჯანსაღი დიპლომატიური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების აღდგენას. მოსკოვსა და მის გარეუბნებში ხომ, თბილისის შემდეგ ყველაზე მეტი ქართველი ცხოვრობს!

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

დასავლური სტატისტიკის მიხედვით, „ისლამურ სახელმწიფოში“ 300-დან 400-მდე საქართველოს მოქალაქეა. პატარა ქვეყნისთვის ეს „თითო-ოროლა“ ნამდვილად არ არის. რაც შეეხება რუსულ მედიას, სულ იმის ძახილშია, რომ იქ რუსეთის მოქალაქეთა დიდი რაოდენობა იბრძვის. ოფიციალური მოსკოვი კი სირიაში შესვლას იმით ამართლებს, რომ იქ მისი მოქალაქეები იბრძვიან, რომლებიც შემდეგ რუსეთს დაუბრუნდებიან და სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიან, ამიტომ ეს რომ არ მოხდეს, ისინი იქ უნდა განადგურდნენ.

ქაჯანა არ გინახავთ? წადით! წადით! წადით!..

„კეისრის ცოლი ეჭვებზე მაღლა უნდა იდგეს“

იულიუს კეისრის ერთი თანამოაზრე, სახელად კლოდიუს პულხერი, შეიპარა კეისრის სახლში ქალურად გადაცმული ქალების დღესასწაულზე, როცა სახლში მარტო ქალები უნდა ყოფილიყვნენ ტრადიციის მიხედვით. იქ მყოფმა ქალებმა ეს გაიგეს და გამოაგდეს კლოდიუსი. კეისრის პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა ბრალი დასდეს კლოდიუსს ტრადიციების დარღვევაში, უზნეობაში და დასჯა მოუნდომეს. კეისარმა ეს ამბავი რომ გაიგო, ცოლს შეუთვალა, გეყრებიო, თვითონ კი სასამართლოზე წავიდა და კლოდიუსის სასარგებლო სიტყვა წარმოსთქვა. ერთ-ერთმა ოპონენტმა მიაძახა, თუ უდანაშაულოა, მაშინ ცოლს რატო ეყრებიო, რაზეც კეისარმა უპასუხა „კეისრის ცოლი ეჭვებზე მაღლა უნდა იდგეს“.

ეს ამბავი 2 ათასი წლის წინათ მოხდა და ისტორიას, როგორც პოლიტიკოსის ზნეობრიობის მაგალითი, ისე შემორჩა...

თუმცა, რამდენი წელიწადიც გვაშორებს ძველ რომს, თანამედროვე ქართული რეალობა იმაზე ბევრად უფრო შორს ყოფილა მსგავსი აზროვნებისგან!

ლამის ერთი თვეა გასული, რაც ერთ პოლიტიკოსზე ე.წ. პირადი ცხოვრების ამსახველი პორნოვიდეო დაიდო სოციალურ ქსელში და მას შემდეგ არ წყდება ვაიპოლიტიკოსებისა თუ ბლენიტ-ელიტის წარმომადგენელთა ვაი-ვიში, მხოლოდ ერთი მიმართულებით:

რა საზიზღრობაა, ამის გადამღებნიც და ამტვირთავიც ნაძირლები არიან და ა.შ. სხვა მსგავსი და მრავალი, რასაც არ შეიძლება, არ დაეთანხმო, მაგრამ ეს, როგორც უკვე ითქვა, ერთი მიმართულებაა, ანუ მედალს მეორე მხარეც აქვს – არავინ საუბრობს იმაზე, რომ გამოქვეყნებული ვიდეოს მთავარი კომპრომატი არა ავხორცობაა, არამედ ცოლქმრული ღალატი, რაც არა მხოლოდ „ნეტარ დასავლეთში“, არამედ საბჭოეთშიც კი პოლიტიკური კარიერის დასასრულს ნიშნავდა!

თუმცა, რატომ „ც“ და, მით უმეტეს, „კი“, ყველა, ყველა და სტალინის საბჭოეთს ოჯახის ინსტიტუტის უპატივცემლობას ახირებულის გარდა ვერვინ დასწამებს!

ამ ყოველივედან კი, მთავარი დასკვნა მარტივია: როდესაც საჯარო პირი ხარ, პოლიტიკოსი, დეპუტატი, მინისტრი, ოპოზიცია თუ პოზიცია, გნებავთ, პოპულარული ტელეწამყვანი, შენი პირადი ცხოვრება მარტო შენ აღარ გეკუთვნის!!!

რა უფლებით, უფრო სწორად, რის საფუძველზე, სამი ძახილის ნიშნიანი კატეგორიულობა?

რის და იმის, რომ ზემორე თქმული ჩემი პირადი ახირება კი არა, დასავლეთში, ევროპა-ამერიკაში შობილი ნორმაა; იმ ევროპა-ამერიკაში, რომელისკენაც, რომ ჰკითხო, თავქუდმოგლეჯილნი მიისწრაფვიან ჩვენი ვაიპოლიტიკოსები თუ ბნელიტ-ელიტარები...

გავიხსენოთ, ე.წ. პირადი ცხოვრების გამო რა დღეში ჩააგდეს იქაურმა ჟურნალისტებმა და არა სამთავრობო ორგანიზაციებმა (**ასო**) აშშ-ის მოქმედი პრეზიდენტი ბილ კლინტონი, მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი დომენიკ ტროსკანი, **ცრუ**-ს შეფი პეტრიუსი, იტალიის პრემიერი სილვიო ბერლუსკონი და ა.შ. მაგალითების მოყვანა კიდევ ბევრი შეიძლება...

თანაც ზემორე ჩამოთვლილ პერსონებს, ყოველგვარი პორნოვიდეო კომპროპატების გარეშე, მხოლოდ „დაზარალებულ“ მოწმეთა ჩვენებების გამო მოუწიათ თანამდებობების დატოვება თუ საზოგადოებრივი რისხვის გადატანა?!

ისე, პაპარაცების ინსტიტუტიც „დემოკრატიული დასავლეთის“ პირმშოა და, აქედან გამომდინარე, ჩვენს აღშფოთებულ ვაიპოლიტიკოსებს უნდა ვკითხო:

რომელიმე პაპარაცმა, ვინმე საჯარო პირის, მინისტრის, დეპუტატის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გადაღება რომ შეძლოს, არ გამოაქვეყნებს?

უეჭველად გამოაქვეყნებს და ამისთვის მას დააპატიმრებენ თუ იმის კარიერა დამთავრდება, ვინც იმ კადრების გმირი იქნება?

ჩვენთან კი რა ხდება?

ზემორე თქმულიდან გამომდინარე, სწორედ ჟურნალისტებს და **ასო**ებს უნდა მოეთხოვათ იმ საჯარო მოხელეთა გადადგომა, რომლებსაც დაემუქრნენ კომპრომატების გამოქვეყნებით, მაგრამ, პირიქით, მოხდა, განახლებულ კამპანია – „ეს შენ გეხება“ საპროტესტო მსვლელობას, ერთი მხრივ, ქართული ჟურნალისტიკის პრიმადონა ინგა გრიგოლია და, მეორე მხრივ, ქართულ **ასო**თა ლიდერი, „კაპიტანი“ ეკა გიგაური ედგნენ სათავეში?!

ერთი სიტყვით, ეს იყო ქართველი უსირცხვილო ბოზების და პედერასტების სანქცირებული მსვლელობა მთავარი ლოზუნგით – „ჩვენ კახპები, პედერასტები ვართ და გაეთრიეთ ჩვენი საძინებლებიდან“, თითქოს ვერ ხვდებოდნენ, რომ მათი ბინძური საცვლების ფერი არავის გვაინტერესებს და, აქედან გამომდინარე, საზოგადოების მთავარი სამიზნეები უსირცხვილო რიგითი კახპები და პედერასტები კი არა, ის მაღალჩინოსნები არიან, რომლებიც ყოველდღე მორალისტობენ ტელევიზიებში!

სხვათა შორის კამპანია „ეს შენ გეხება“ დღემდე მიმდინარეობდა სხვადასხვა ტელევიზიებში მაია ასათიანისა თუ შალვა რამიშვილის მართლაც ამაზრზენი შოუების სახით, და თინა ხიდაშელზე დადებული ახალი კადრებით ამ კამპანიამ მაკა რაზმაძის თოქ-შოუში ახალი ძალით, მაგრამ ძველი პათოსით იფეთქა:

მხოლოდ და ისევ – რა საზიზღრობა, ამაზრზენია, და არავითარი კრინტი ზემორე თქმულზე, რასაც იმას დავუმატებ, რომ ასეთი ხალხის მაღალ თანამდებობებზე ყოფნა, სახელმწიფოებრივი საფრთხის შემცველია, რადგან სამეგრელოს კასრებში აღმოჩენილი ათიათასობით ფაილის (ვითომ საზეიმოდ რომ გაანადგურეს!) ასლები რომელი ქვეყნის დაზვერვას შეიძლება ჰქონდეს, ეშმაკმა უწყის!

თუმცა ის, რაც მხოლოდ ეშმაკმა შეიძლება უწყოდეს, ზუსტად იცოდა მაკა რაზმაძის ერთმა სტუმარმა ქალბატონმა – რუსეთი და მხოლოდ რუსეთი!

საერთოდ, ამ ქალბატონის აშკარად ხელოვნურად ოდნავ მოჭუტული თვალებიდან ზევიდან ქვემოთ ხაზგასმულად უპირატესი მზერა და მორალისტობა უკვე შემაწუხებელია...

მაგრამ ვენაცვალე ლალი მოროშკინას, რომელმაც ჩვეული პირდაპირობით განაცხადა, რომ იმათ, ვიზედაც გამოქვეყნდა, ან შესაძლოა, გამოქვეყნდეს კომპრომატები, დაუყოვნებლივ უნდა დატოვონ თანამდებობები, რითიც ზემორე ხსენებული ქალბატონის მორიგი მორალისტობა გამოიწვია:

ჩემო ლალი, ხომ იცი, როგორ დიდ პატივს გცემ, მაგრამ საერთოდ, როგორ შეძელი იმ კადრების (თინა ხიდაშელზე, **დ. მ.**) ყურება?..

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, და ამ მიმართებით ვასილი შუკშინის კინოგმირი გამახსენდა „წითელი ძახველიდან“, როდესაც ახლად განთავისუფლებული კანონიერი ქურდი ეუბნება პროვინციალური სასტუმროს ადმინისტრატორს – „Деньги ляшки жмут, хочу устроить маленкий борделиеро“...

უკაცრავად და, მამაძალი, რუსეთის ბრალია, რომ ქართული პოლიტიკა პატარა „ბორდელიერო“ კი არა, ერთი დიდი ბორდელი ყოფილა?

ისედაც, მსოფლიო გეოპოლიტიკის ლი-

დავით მხეიძე

14 მაისს გადაწყდება, რას მოიფიქრებს „ოცნება“!

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ პარტიის ყრილობა 14 მაისს გაიმართება. ყრილობაზე აირჩევა პარტიის თავმჯდომარე და დამტკიცდება პარტიის პოლიტიკური საბჭოს ახალი შემადგენლობა.

პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილებით, პარტიის თავმჯდომარის პოსტზე ყრილობას წარედგინება გიორგი კვირიკაშვილის კანდიდატურა, – აცნობეს მედიანიუსს პარტიიდან.

ნოდარ ჯავახიშვილი არც ერთი პარტიის წევრი არ არის...

რეგიონული **განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო განცხადებას ავრცელებს, რომელშიც ნათქვამია, რომ უწყების ხელმძღვანელმა ნოდარ ჯავახიშვილმა 2011 წელს დატოვა პარტია „ეროვნული ფორუმი“ და მას შემდეგ, არც ერთი პარტიის წევრი არ არის.**

„ბოლო დღეებში გაჟღერდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ნოდარ ჯავახიშვილმა, როგორც პოლიტიკური პარტია „ეროვნული ფორუმის“ წევრმა, ეროვნული ფორუმის მიერ კოალიციისა და უმრავლესობის რიგებიდან გასვლის გამო, უნდა დატოვოს მინისტრის თანამდებობა.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი არც ერთი პარტიის წევრი არ არის. ნოდარ ჯავახიშვილმა „ეროვნული ფორუმი“ ჯერ კიდევ 2011 წელს დატოვა“ – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

დავით საგანელიძე საარჩევნო სიაში აღარ იქნება

„საპარტნიორო ფონდის“ ხელმძღვანელი დავით საგანელიძე მომავალ არჩევნებში საარჩევნო სიაში აღარ იქნება.

როგორც დავით საგანელიძემ განაცხადა, მან ჯერ კიდევ დაახლოებით 2 წლის წინათ დააფიქსირა პოზიცია, რომ პარტიას განახლება სჭირდება და საჭიროა ახალი სახეები.

„წინა განვლილი პერიოდი და წლები, რომლებიც მე პარლამენტში გავატარე, ოთხი მოწვევის პარლამენტის წევრი ვიყავი, ალბათ, საკმარისია იმისთვის, რომ ახალი თაობა, ახალი სახეები მოვიდნენ, ახალი ენერგიით, ახალი ცოდნით და შესაბამისად, ნამდვილად არ ვთვლი საჭიროდ და არც აზრი შემიცვლია, რომ მე, მომავალ პარლამენტში ვიყო“, – განაცხადა საგანელიძემ.

საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელს დავით საგანელიძეს მიაჩნია, ძალიან სწორია, რომ პარტია „ქართული ოცნების“ სიის პირველი ნომერი გიორგი კვირიკაშვილი იქნება.

კოალიციიდან გასულ პარტიებს ბარიერის გადალახვა გაუჭირდებათ

გოგლა ჟვანია მიიჩნევს, რომ პარტიებს, რომლებმაც კოალიცია დატოვეს, არჩევნებში ბარიერის გადალახვა გაუჭირდებათ. რაც შეეხება საარჩევნო სიას, დეპუტატი აცხადებს, რომ ჯერჯერობით სია ჩამოყალიბებული არ არის და ის უახლოეს მომავალში ჩამოყალიბდება და საზოგადოებისთვისაც გახდება ცნობილი:

„დადგა ახალი რეალობა და უნდა მივიდეთ არჩევნებზე. ჩემი აზრით, პარტიები, რომლებიც გავიდნენ კოალიციიდან, დამოუკიდებლად, ყველას გაუჭირდება ბარიერის გადალახვა, მაგრამ შეიძლება დაჯგუფდნენ თავიანთი ორიენტაციების, მისწრაფებების მიხედვით და ისე გავიდნენ არჩევნებზე. ამ რეალობაში მართლაც შეიძლება კარგი პარლამენტი მივიღოთ. პარლამენტში შესული პოლიტიკური ძალები, თუ საჭირო იქნება, გავერთიანდებით უმრავლესობებში, უმცირესობებში, სხვადასხვა თემების გარშემო, ეს არის ნორმალური პროცესი“, – განაცხადა გოგლა ჟვანიამ.

დედამიწის ზურგზე

ნატოს მთავარსარდალმა ევროპაში აღიარა, რომ პუტინმა შექმნა უძლიერესი არმია

ბრიდლავის სიტყვებით, პუტინი კვლავ აწვდის ინვესტიციებს არმიას, ზრდის მის ძლიერებას მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური პრობლემები რუსეთში ყოველდღიურად იზრდება. გენერალმა აღნიშნა, რომ ამასთან დაკავშირებით ნატოს სამიტზე ვარშავაში უნდა მიიღონ გადაწყვეტილება ალიანსის შეიარაღებული ძალების გაზრდის შესახებ ევროპაში.

საპაკაშვილმა გასცა განკარგულება, ოდესის ოლქში აიღონ ლენინის, ძერჟინსკის, გორკისა და ჩაპაევის ძეგლები

ასევე დემონტაჟს ექვემდებარება ათზე მეტი გამოსახულება ნამგალისა და უროსი, მათ შორის ძმათა სასაფლაოებზე, წარწერები „კომუნისტური შრომის დამკვრელებს“ და „აგებულია ვლადიმერ ლენინის 100 წლისთავის აღსანიშნავად“ პურის მისაღები პუნქტის შესასვლელში.

აზერბაიჯანმა განაცხადა, რომ მთიან ყარაბაღში სომხეთის უდიდესი სამხედრო ბაზა გაანადგურეს

ბაქოში ასევე განაცხადეს, რომ უკანასკნელი ერთი დღეღამის განმავლობაში ბრძოლების დროს განადგურდა საბრძოლო ტექნიკის ოცი ერთეული და მოწინააღმდეგის 70 სამხედრო მოსამსახურე. ამავე დროს უკანასკნელი ორი დღეღამის განმავლობაში ბრძოლაში დაიღუპა 16 აზერბაიჯანელი სამხედრო მოსამსახურე. ამ დროს ერევანმა ბრალი დასდო ბაქოს რეაქტიული დანადგარების გამოყენებაში.

პანამის პროკურატურა ოფშორების შესახებ მასალების გამოქვეყნების შემდეგ იწყებს გამოკვლევას

„ფაქტები, რომლებიც აღწერილია ეროვნულ და საერთაშორისო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ტერმინით „პანამური დოკუმენტები“, გახდება სისხლის სამართლის გამოკვლევის საგანი“, — ნათქვამია უწყების ოფისის ცნობაში. ადრე მზადყოფნის შესახებ, დაიწყონ იმ ფაქტების გამოკვლევა, რომლებიც გადმოცემულია გასაჯაროებულ მასალებში, განაცხადა ბევრი ქვეყნის ხელისუფლებამ.

ისლამური სახელმწიფოს ბოევიკებმა სირიელი სამხედროების წინააღმდეგ მომწამლავი გაზი გამოიყენეს

სირიის ტელევიზიის ცნობით, ტერორისტებმა გამოიყენეს მომწამლავი გაზი აეროპორტზე თავდასხმის დროს დეირ-ეზ-ზორის პროვინციაში. ინფორმაცია შესაძლო მსხვერპლისა და დაზარალებულთა შესახებ ამ მომენტისათვის არ არსებობს.

გაეროს განცხადებით, 1,5 მილიონი უკრაინელი შიმშილის ზღვარზე იმყოფება

ამ 1,5 მილიონიდან დაახლოებით 300 ათასი განიცდის პროდუქტების მწვავე ნაკლებობას და სჭირდებათ სასწრაფო დახმარება. გაერომ აღნიშნა, რომ უკრაინის აღმოსავლეთში გახანგრძლივებული კონფლიქტის გამო ამ ხალხამდე მისვლა უკიდურესად რთულია.

SIPRI: მსოფლიო სამხედრო ხარჯები 1,7 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა, რუსეთი მეოთხე ადგილზეა

შარშან შეიარაღებაზე ყველაზე მეტი დახარჯა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა — ქვეყნის წილად მოდის 36 პროცენტი (596 მილიარდი დოლარი), ჩინეთი — 13 პროცენტი (215 მილიარდი დოლარი), საუდის არაბეთი — 5,2 პროცენტი (87,2 მილიარდი დოლარი). რუსეთმა დახარჯა სულ 4 პროცენტი (66,4 მილიარდი დოლარი).

(მეოთხე ბვერდიდან)

გ) წინა მუხლში განხილული ვარიანტი შეიძლება გაიშალოს რამდენიმე კომბინაციად, მაგრამ კატეგორიულად შეიძლება ითქვას, რომ მეორე პოზიციებიდან „ნაცების“ ჩაჩოჩება მხოლოდ ერთ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი — თუ ნინო ბურჯანაძის პარტია და „პატრიოტთა ალიანსი“ ერთად იქნებიან წარმოდგენილი;

დ) „რესპუბლიკური პარტია“ ცალკე გამოყოფას იმსახურებს, მისი განსხვავებული როლისა და მდგომარეობის გამო. „ქართული ოცნების“ პარტნიორებიდან მხოლოდ ის შეიძლება ჩაითვალოს კოალიციის სრულფასოვან წევრად, რადგან მთავრობაში მხოლოდ მას ჰყავს წარმომადგენლობა, თანაც პოლიტიკურად საკმაოდ მნიშვნელოვან პოზიციებზე. მეორე, რაც ამ პარტიის განსხვავებულობას განაპირობებს, კოალიციის სხვა სუბიექტებთან სრული მსოფლმხედველური შეუთავსებლობაა. აქვე ვიტყვი, რომ „რესპუბს“ ამ სუბიექტებზე (რასაკვირველია — „ოცნების“ გარდა) მაღალი რეიტინგიც გააჩნია, მაგრამ, მისი გულშემატკივრების სამწუხაროდ, ეს მაჩვენებელი საკმაოდ შორსაა სანუკვარი 5%-სგან. საგარეჯოს არჩევნებმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ხალხსა და რესპუბლიკელებს შორის დიდი ნაპრალია და საეჭვოა, ახლო მომავალში ამას რაიმე ეშველოს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, „რესპუბლიკური პარტია“ იძულებულია ეძებოს პარტნიორები. წინა აბზაცში ნახსენები შეუთავსებლობის გამო, ბლოკის დაშლის შემთხვევაში, მას გაუჭირდება პარტნიორების ყოფილ თანაგუნდელებში მოძებნა (მეტ-ნაკლები ალბათობით „ეროვნულ ფორუმზე“ შეიძლება გათვლა, იმ შემთხვევაში, თუ ორივესთვის სხვა უკეთესი გაგრძელება არ გამოიკვეთება). გაუჭირდება პარტნიორების მოძებნა კოალიციის მიღმაც, თუ, რა თქმა უნდა, ბოლომდე (არჩევნებამდე) დარჩება კოალიციის შემადგენლობაში, რადგან მათ სავარაუდო პარტნიორებს, „თავისუფალ დემოკრატებს“, კამპანია არათუ „ოცნების“ კრიტიკაზე, არამედ პირდაპირ ბიძინა ივანიშვილის ლანძღვა-გინებაზე აქვთ აწყობილი.

 # კოალიცია იშლება, საქმე კი წინ მიდის

უკვე ბავშვმაც კი იცის, რომ რესპუბლიკელების ამბიციები არ შეესაბამება მათს შესაძლებლობებს. ამ ჯგუფის მთავარი პრობლემა ისაა, რომ ვერ მოახერხეს პოლიტიკოსებად ჩამოყალიბება ვერც გუნდურად და ვერც ინდივიდუალურად. ეს ჩანს როგორც მნიშვნელოვანი საკითხებისადმი დამოკიდებულებაში, ისე დეტალებშიც. პოლიტიკოსობა მარტო პოლიტიკური ვაჭრობის უნარების ფლობა არაა.

გამიჭირდება გავიზიარო მოსაზრება, რომ რესპუბლიკელების გასვლით „ოცნება“ ბევრს დაკარგავს. უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო ხმების დაკარგვაზე არც არის საუბარი (ბევრი იმასაც პროგნოზირებს, რომ ამ შემთხვევაში „ოცნების“ მხარდამჭერთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება). ვარაუდი ეხება მმართველი გუნდის ინტელექტუალური რესურსის მოსალოდნელ შემცირებას. საქმეში ჩახედული ადამიანი დიდი ხანია, დარწმუნდა, რომ ისე არ წვიმს, როგორც ქუხს. ვფიქრობ, საუბარი შეიძლება იყოს მხოლოდ დავით უსუფაშვილის „დაკარგვაზე“, მაქსიმუმ, ერთ-ერთი კომიტეტის თავმჯდომარის რანგში.

არ დავმალავ და დავით უსუფაშვილიც მხოლოდ შედარებითი თვალსაზრისით გამოვარჩიე. რაც შეეხება დანარჩენებს — იქნება ვინმემ კონკრეტული აქტივობებით ახსნას ძმები ბერძენიშვილების მუშაობის მარგი ქმედების კოეფიციენტი. საიდან მოდის მათი ეს უსაზღვრო თვითკმაყოფილება და ზიზღამდე მისული ცინიკური დამოკიდებულება ყველა არარესპუბლიკელისადმი? კომიტეტის თავმჯდომარე კაცმა (ლევან ბერძენიშვილი მყავს მხედველობაში), თუ ოდნავი კომპეტენცია მაინც აქვს, თავი როგორ ვერ უნდა დაგამახსოვროს ამ ბობოქარ დროში და ბობოქარ რეგიონში საგარეო პოლიტიკურ თემებზე თუნდაც ანალიტიკური საუბრებით?

უკვე ბავშვმაც კი იცის, რომ რესპუბლიკელების ამბიციები არ შეესაბამება მათს შესაძლებლობებს. ამ ჯგუფის მთავარი პრობლემა ისაა, რომ ვერ მოახერხეს პოლიტიკოსებად ჩამოყალიბება ვერც გუნდურად და ვერც ინდივიდუალურად. ეს ჩანს როგორც მნიშვნელოვანი საკითხებისადმი დამოკიდებულებაში, ისე დეტალებშიც. პოლიტიკოსობა მარტო პოლიტიკური ვაჭრობის უნარების ფლობა არაა.

განსხვავებული შეხედულების მქონეთათვის (და არა მხოლოდ მათთვის) თითო მაგალითს მოვიყვან უახლესი პერიოდის მოვლენებიდან:

მაგალითი I — სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეობა დიდი და მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო დავით უსუფაშვილისთვის. ამბიციური პოლიტიკოსისა და იურისტისთვის ამაზე მეტი ასპარეზი და შესაძლებლობა სხვა რა შეიძლებოდა ყოფილიყო? საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ კომისიამ უსახელოდ დაასრულა მუშაობა. ორწელიწადნახევრიანი ადგილის ტკეპნისა და წყლის ნაყვის შემდეგ გამოგვიცხადეს, რომ დოკუმენტის შემუშავება ვერ მოხერხდა, რადგან პარლამენტში არსებული ძალთა ბალანსის გამო საკმარის ხმებს მაინც ვერ დააგროვებდაო.

პატარა ქვეყანა ვართ და ჩვენთან არაფერი და ვერაფერი დაიმალება. დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ 2014 წლის ივნისის შემდეგ კომისიის მუშაობა მთლიანად პარალიზებული იყო, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთი ჯგუფის ხელმძღვანელის პერიოდული სახის გააქტიურების მცდელობებს. ამ მნიშვნელოვანი საქმის ჩაფლავებაზე, დავით უსუფაშვილთან ერთად, პასუხისმგებლობა უნდა გაინაწილონ ვახტანგ ხმალაძემ და თინა ხიდაშელმა. **სამწუხაროდ, ბატონმა დავითმა თავი ვერ გაართვა დაკისრებულ მოვალეობას ვერც როგორც ორგანიზატორმა, ვერც როგორც იურისტმა და ვერც როგორც პოლიტიკოსმა.**

საკონსტიტუციო კომისიის ამბებს რომ ვიგებდი, ხანდახან ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, ბიძინა ივანიშვილი რესპუბლიკელებს ტესტს ხომ არ უტარებს, მათ შესაძლებლობებში ობიექტურად გარკვევის მიზნით-მეთქი. **ასეა თუ ისეა, დავით უსუფაშვილმა და მისმა მეგობრებმა ხალხის წინაშე გამოცდა ვერ ჩააბარეს.** პოლიტიკურ გამოწვევას აძლიერებდა ის გარემოება, რომ საქმე ეხებოდა ე.წ. სააკაშვილის კონსტიტუციის (ერთ კაცზე მორგებული მახინჯი კონსტიტუციის) ძირეულ გადახედვას, რაც კომისიის მესვეურების მუშაობის შეფასებას კიდევ უფრო ამძიმებს.

მაგალითი II — არჩევნებში სახელისუფლებო რესურსის გამოყენება დიდი ხანია, ემოციებს აღარ იწვევს და მრავლისმნახველ ქართველ ამომრჩეველს რამე თუ გააკვირვებდა ან აღაშფოთებდა, ძნელად წარმომედგინა, მაგრამ საგარეჯოს არჩევნებში თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის საქციელმა მაინც ყველა მოლოდინს გადააჭარბა. არჩევნების წინა დღეებში და უშუალოდ არჩევნების დღეს დანახულმა რეალობამ ქალბატონი თინა ისე გამოიყვანა მდგომარეობიდან, რომ თავს ვეღარ აკონტროლებდა და მისი აქტიურობა, რბილად რომ ვთქვათ, ცუდი საყურებელი იყო.

საგარეჯოს არჩევნები რამდენიმე დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა: თინა ხიდაშელმა, როგორც მაჟორიტარმა დეპუტატმა, ვერ დაიმსახურა თავისი ოლქის ამომრჩევლის სიყვარული და პატივისცემა; „რესპუბლიკური პარტიისადმი“ ხალხის დამოკიდებულება უკეთესობისკენ არ შეცვლილა; ეს პარტია „ქართული ოცნებისთვის“ უკვე ტვირთია და ამის გამო მმართველი სუბიექტი ხმების დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას და ბოლოს — „რესპები“ ვერ შეიცვლებიან, რადგან ამ ყველაფრის ფონზე თვითკრიტიკის ნატამალიც კი ვერ დავინახეთ მათ მოქმედებებში. ზემოთ მოგახსენეთ პოლიტიკოსობის ხარისხი (თუ შეიძლება, ასე ითქვას) მნიშვნელოვანი საკითხებისადმი დამოკიდებულებაშიც ჩანს და დეტალებშიც-მეთქი. არგუმენტების სისრულისთვის ერთი „დეტალი“ მინდა გავიხსენო: თინა ხიდაშელსა და გოგი თოფაძეს შორის ცნობილი დაპირისპირების დროს პრემიერმა შენიშნა, რომ თავდაცვის მინისტრი უწინარესად თავდაცვის მინისტრია და შემდეგ რომელიმე პარტიის წევრიო და მხარეებს თავშეკავებისკენ მოუწოდა. არ გასულა ორი დღე და გოგი თოფაძის მორიგ აჭრაზე (თურქებს რომ „ეძგერა“) ქალბატონმა თინამ მომენტი ხელიდან არ გაუშვა და კონტროლიდან გამოსულ „ოპონენტს“ მწარედ უკბინა (თუ უბწკინა). **დასკვნა მარტივია — პოლიტიკოსები და, განსაკუთრებით, მაღალი პასუხისმგებლობის მატარებელი პოლიტიკოსები ასე არ იქცევიან, ან პირიქით — ვინც ასე იქცევა, პოლიტიკოსი არ არის.**

დავით უსუფაშვილსა და თინა ხიდაშელზე ვთქვით, ძმებ ბერძენიშვილებზეც ვთქვით, თავისუფლების ინსტიტუტელ-რესპუბლიკელ დავით ზურაბიშვილსა და თამარ კორძაიაზე უთქმელადაც ყველაფერი ნათელია. სხვა რესპუბლიკელი კიდევ, ამ „ოცდაათი წლის“ განმავლობაში, ვერ გავიცანით და... ეს არის სულ.

ასე რომ, კოალიცია იშლება, საქმე წინ მიდის.

ბიძინა დვალი

საგარეჯოს არჩევნები რამდენიმე დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა: თინა ხიდაშელმა, როგორც მაჟორიტარმა დეპუტატმა, ვერ დაიმსახურა თავისი ოლქის ამომრჩევლის სიყვარული და პატივისცემა; „რესპუბლიკური პარტიისადმი“ ხალხის დამოკიდებულება უკეთესობისკენ არ შეცვლილა; ეს პარტია „ქართული ოცნებისთვის“ უკვე ტვირთია და ამის გამო მმართველი სუბიექტი ხმების დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას და ბოლოს — „რესპები“ ვერ შეიცვლებიან, რადგან ამ ყველაფრის ფონზე თვითკრიტიკის ნატამალიც კი ვერ დავინახეთ მათ მოქმედებებში.

◎ ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია

საკუთარი გამოსახულების უფლება

ეს ჩანაწერი ზუსტად 21 წლის წინანდელია, იმ პერიოდისაა, როდესაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ბატონი მინდია უგრეხელიძე გახლდათ, ხოლო იუსტიციის მინისტრი – ბატონი თედო ნინიძე და, იმის მიუხედავად, რომ ჩანაწერი საკმაოდ ხანდაზმულია, დღეს შემთხვევით არ ვიხსენებ. წლების მანძილზე ქვეყნდებოდა და დაუსჯელობის ატმოსფეროს მომძლავრების გამო ამჟამადაც ხშირად ქვეყნდება ადამიანის ღირსების შემლახავი უამრავი მასალა. მათ შორის ოჯახებში მალულად დამონტაჟებული ფარული კამერით გადაღებული ინტიმური ცხოვრების კადრები და საგანგებოდ შეთითხნილი ყალბი ბრალდებები. პიროვნებათა ღირსების შემლახავნი უმეტესწილად დაუსჯელები რჩებიან. ეს კი საზოგადოებაში პანიკას იწვევს, ანარქიისა და ქაოსის დამკვიდრებისთვის ნაყოფიერ ნიადაგს ჰქმნის. ამან გადაგვაწყვეტინა, რომ პრესის კანონმდებლობის შესახებ ბატონ მინდია უგრეხელიძისა და ბატონ თედო ნინიძის მიერ დიქტოფონზე ჩაწერილი ტექსტის მოშველიებით მათი ნაუბრიდან გამოგვექვეყნებინა ის ფრაგმენტი, რომელიც ძალზე საგულისხმო, ამასთან ფრიად დამაფიქრებელ შემთხვევას ეხება.

* * *

მოსკოვში, პუშკინის ძეგლთან ვდგავარ და ველოდები ჩემს საყვარელ სტუდენტს, რომელიც მოსამართლე გახლავთ – კობა ქამხაძეს, რათა თბილისში ჩემი მცირეწლოვანი შვილებისთვის საახალწლო ნობათი გავატანო. – გვიამბობს ბატონი მინდია. – ამ დროს მიკროფონით ხელში მომიახლოვდა საკავშირო ტელევიზიის წარმომადგენელი და მოინდომა, რომ რაღაც კითხვებზე გამეცა პასუხი.

მე ავუხსენი, რომ ამის სურვილი არ მქონდა.

ძალიან მთხოვა. თუნდაც არ გადავცემთ, ოღონდ აუცილებლად გვიპასუხეთ კითხვებზეო.

– რის შესახებ უნდა გიპასუხოთ-მეთქი? – ვკითხე.

– არსებობს თუ არა იდეალური ოჯახებიო?

მე ვუთხარი: შევეცდები, ამ საკითხზე გიპასუხოთ, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს იქნება ჩვენი გაცნობა და მეტი არაფერი. ეს უფლებას არ გაძლევთ, ჩემი გამოსახულება ჩემი ნებართვის გარეშე გამოიყენოთ ტელევიზიაში-მეთქი.

მე ბატონ თედო ნინიძისაგან ვიცოდი, რომ არსებობს საკუთარი გამოსახულების უფლება. დავიმოწმე ეს და ვუთხარი: არ გაძლევთ ტელევიზიაში ჩემი გამოსახულების ჩემს დაუკითხავად გამოყენების უფლებას-მეთქი.

– გაძლევთ პატიოსან სიტყვას, არ გამოვიყენებთო.

ასე დავშორდით ერთმანეთს.

* * *

გავიდა იმ დღიდან ორი წელიწადი.

ამ ხნის განმავლობაში მე გავხდი ცეკას მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგის მოადგილე და, მახსოვს, აგვისტოს გაგანია დღე, – ისეთი ხვატია, ფიზიკურად გაძლებაც კი შეუძლებელია.

მას ემატებოდა ისიც, რომ გამოცდები მიმდინარეობდა და, მოგეხსენებათ, იმდროინდელი წესების მიხედვით, მეცნიერების განყოფილება პასუხს აგებდა იმაზე, თუ რამდენად წარმატებით ან წარუმატებლად ჩაიარა გამოცდებმა უმაღლესებში.

დილით მივდივარ სამსახურში და მეუბნებიან: ამ გაგანია სიცხეში ან როდის მოასწარი მოსკოვში ჩასვლა, ან „უშანკით“ (ყურებიანი ქუდით) პუშკინის ძეგლთან როგორ აღმოჩნდიო?

ვკითხულობ: გამაგებინეთ, რა „უშანკაზეა“ საუბარი-მეთქი?

კარგა ხანს მართლაც ვერ მივხვდი, მით უმეტეს ვერ წარმოვიდგენდი, თუ ეკრანზე მოხვდებოდა ორი წლის წინათ გადაღებული კადრები, რომელთა ჩვენების უფლება მე არ მიმიცია. თანაც ამ გადაცემას, იცით რა ჰქვიოდა, თედო ბატონო? – მიმართავს ბატონ თედო ნინიძეს და კითხვას თავადვე პასუხობს: გადაცემას „ვოკრუგ სმეხა“ ჰქვიოდა.

– უნდა გეჩივლათ.

– ვიჩივლე რომელია. მოვახსნევინე იქიდან ეს ხალხი იმიტომ, რომ ეს მაშინ, იმ დროს სხვა რამესაც ნიშნავდა. თუ ამას გაიკეთებდი, გამოდიოდა, რომ დაარღვიე პარტიული დისციპლინა. მაშინ ამგვარი წესი იყო: უნდა შეგეთანხმებინა, სად რას ამბობდი.

ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა, უფლებრივი შეგნების საკითხია. ის, რაც ახლა გითხარით, იმაზე მეტყველებს, თუ რა დაბალ დონეზე იყო ყოველთვის და, სამწუხაროდ, დღემდე ჩვენში რა დაბალ დონეზე რჩება უფლებრივი შეგნება.

– ვფიქრობ, ეს მარტო ჟურნალისტებზე არ ითქმის. – საუბარში ჩავერთე და ვცდილობ, ნათქვამი დავასაბუთო. – ამის დასტურად თუნდაც ის გამოდგება, რომ პირველი, რასაც მოითხოვენ ყველგან, სადაც სიტყვით ძალისმიერი ორგანოების წარმომადგენლები გამოდიან, ის არის, რომ მიუღებლად მიაჩნიათ სისხლის სამართლის საქმის აღძვრისთანავე ეჭვმიტანილთან დამცველის დაშვება. ამის შემოღებას, ფაქტობრივად, პირადად თქვენ მოგაწერენ და ამ დაშვების გაუქმება მათი უპირველესი მოთხოვნაა: დაზარალებულიც და ჩვენც დაუცველები ვრჩებით, დამნაშავე კი ყოველმხრივ დაცულიაო.

– ცდებიან. სისხლის სამართლის საქმის აღძვრისთანავე დამცველის დაშვება მე არ დამინერგავს. ჩვენ მხოლოდ მართებული განმარტება მივეცით მოქმედ კანონს. დამცველის ამგვარი მოქმედება კანონის მიხედვით ხდება.

სამწუხაროდ, ამგვარსა და ამის მსგავს შეცდომას ბევრი უშვებს. მათ შორის ჩემს ხელში გამოვლილი ბიჭებიც. და არა მარტო ისინი – დიდი ავტორიტეტის მქონე პროფესიონალებიც.

ამას წინათ ბატონმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა პარლამენტის სხდომაზე განაცხადა, რომ სიკვდილის მიზეზების დასადგენად გვამის აუცილებლად გაკვეთა მინდია უგრეხელიძემ შემოიტანაო. სინამდვილეში მე კი არ შემოვიტანე, ეს კანონში წერია და მოვითხოვდი, რომ გვამი აუცილებლად გაეკვეთათ. ასე მაგალითად, დღესაც მიმაჩნია, რომ ზვიად გამსახურდიას გვამი აუცილებლად უნდა გაეკვეთათ, რადგან ასეთ მოქმედებას კანონი მოითხოვს. ჩვენში კი არც თუ იშვიათად ურევენ კანონის პოზიციას და უზენაესი სასამართლოს მიერ ამ კანონის განმარტებას.

რასაც პლენუმს აბრალებენ, ის მოქმედი კანონმდებლობის განმარტებაა და მეტი არაფერი.

* * *

დიქტოფონზე ამ საუბრის ჩაწერის შემდეგ ოც წელიწადზე მეტმა განვლო, მაგრამ არა მარტო მასმედიისა თუ ცალკეული პიროვნების მიერ, არამედ თავად სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდანაც კვლავ შეიმჩნევა პიროვნების ღირსებისა და უფლებათა შელახვის ფაქტები. არადა, ფარულ აუდიო და ვიდეოჩანაწერებთან და მათი შეგროვება-შენახვა-გავრცელებასთან დაკავშირებულმა სკანდალმა თვალნათლივ დაგვანახვა ის დიდი საფრთხე, რომელსაც თავიდან ვერასდროს ავიცილებთ, თუ ჭრილობას ბოლომდე არ გავაშიშვლებთ და სათანადოდ არ ვუმკურნალებთ დღემდე უკურნებელ იმ დიდ სატკივარს, რომელიც ადამიანთა ღირსებისა და უფლებების უხეშად დარღვევის გამო თითოეული ჩვენგანის სულს მძიმედ აწევს.

ალექსანდრე შენგელია

◎ კაცს საქმე აჩენს

კეთილი, უბადლო ძმა და მეგობარი



არაფერია კეთილ სახელზე უფრო ძვირფასი და შენ შემდგომ დანატოვარ კეთილ საქმეთა გარდა, სხვა ვერაფერი მოგანიჭებს ამ კეთილ სახელს – ნათქვამი აქვს ერთ ბრძენ კაცს. ეს სიტყვები ყველაზე უკეთ, ალბათ, შენს ფენომენს ესადაგება, ჩვენო სულიკო. შენი მთელი ცხოვრება ხომ სიკეთის თესვა, სწავლა-განათლებისა და შრომისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება, მოყვასისადმი ერთგულება და სიყვარულია, მაგრამ, ამასთან ერთად, სპორტული ჟინის გამოვლენა და უშუალო მონაწილეობა-თავკაცობა ათასჯერადი გამარჯვების ფონზე – ესეც ხომ შენი სულიერების ერთგვარი კრედოა.

ეს ყველაფერი ყველაზე კარგად შენს საძმო-სამეგობრო წრეს გვაქვს წარმოდგენილიცა და განცდილიც და ამიტომაც ძნელია შენს მიერ რვა ათეული წლის მანძილზე განვლილი ეპიზოდები სრულყოფილად წარმოვაჩინოთ და ჩავატიოთ ერთ საგაზეთო მოსალოცწერილში, ჩვენო ძვირფასო ძმაო ვალერიან (სულიკო). ბევრჯერ გითქვამს: საუცხოო თანამდებობაა ადამიანად ყოფნაო. მართლაც, ნაღდი ჭეშმარიტებაა, რადგან ეს უკვე პირადად აღიქვი და დაამტკიცე კიდეც. შენი თავდადება და მუხლმოუდრეკელი შრომა სპორტისა და ფიზკულტურული მოძრაობისთვის არაერთხელ აღნიშნულია საერთაშორისო ოლიმპიური, საკავშირო და საქართველოს საპატიო წოდებებით და მედლებით, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. ისიც უნდა ითქვას, რომ შენ ხარ ერთი პირველთაგანი, რომელმაც შესანიშნავი ისტორიული წიგნი შეადგინე და გამოეცი სპორტსაზოგადოება „დინამოს“ წარსულისა და აწმყოს შესახებ, სრულყოფილად წარმოაჩინე საქართველოს სპორტსმენთა როლი და დამსახურება მსოფლიო მასშტაბით.

ამიტომაცაა, რომ დღეს ეს ნაშრომი არა მარტო ფართო საზოგადოებისთვის, არამედ ახალგაზრდა თაობისთვისაც ერთ-ერთ სამაგიდო წიგნად იქცა. შენს მრავალწლიან ნაყოფიერ საწვრთნელ მოღვაწეობასაც უშედეგოდ არ ჩაუვლია. არაერთი გამორჩეული სპორტსმენი – ოლიმპიური, მსოფლიო და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და პრიზიორი – შენი აღზრდილები (თუგინდ სპორტის ყველაზე რთულ სახეობა ხუთჭიდში!) დღესაც წარმატებით მოღვაწეობენ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში.

სხვა პიროვნულ-სანაქებო თვისებებიდან კიდევ რომელი ვთქვათ, – დაწყებული მისი ნაღდი ქალაქელობით, წინაპრებისადმი მუდმივი დაფასებით, სამაგალითო და გაბედული ოფიცრობით, რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციებში კაცურკაცობით, გამორჩეულობით და სუფრულ მოლხენაშიც ერთ-ერთ უბადლო წარმომადგენლობითაც.

მართალია, თმაში ჭაღარა შემოგერია, ჩვენო სულიკო, მაგრამ იმედია, კიდევ მრავალ წელს გაახარებ შენს ძვირფას მეუღლეს, შენს ვაჟკაცს, რძალსა და უმშვენიერეს შვილიშვილებს, შენს ახლობლებსა და მეგობრებს შენებური ომახიანი შეძახილითა და ოპტიმისტური განწყობით. დღეგრძელობა და მრავალჟამიერ შენ, ნაღდო კოლხო, დიდებულო ქართველო, ჩვენო სულიკო – ვალერიან როგავა.

გკოცნით და გეხვევით!

ძმები დავით და ამირან როგავები,

მეგობართა ჯგუფი:
ალეკო კაკულია, თამაზ ძოწენიძე, ვახტანგ დავითაია, ჯუნა ზალდასტანიშვილი, ვალერი ჩოლარია, ვალერი ლომაძე, ნიკა ჭანტურია, მიხეილ გვერდწითელი, ოთარ ჭითანავა.

◎ კარგი ამბავი

თბილისში მზის ენერგიაზე მომუშავე ნაგვის ურნები გამოჩნდება

თბილისს, მიმდინარე წლის შემოდგომაზე, ინოვაციური, მწვანე კონცეფციით კეთილმოწყობილი ქუჩა მიემატება. მერიის სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდის“ პროექტი, თავდაპირველად საპილოტე იქნება და ის კარგარეთელის ქუჩაზე განხორციელდება.

ამჟამად პროექტი ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში იმყოფება. დასკვნის მომზადების შემდეგ გამოცხადდება ტენდერი სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელი ორგანიზაციის გამოსავლენად.

სამუშაოები ითვალისწინებს კარგარეთელის ქუჩაზე მიწისქვეშა კომუნიკაციების სრულად გამოცვლას, ახალი გზის საფარის დაგებას, ბორდიურების მოწყობას, ფასადების რეაბილიტაციას, გამწვანების ახალ მეთოდებს – ახალი ხეებისა და მცენარეების დარგვას. **„ამ სამუშაოების შემდეგ უკვე ქუჩა აღიჭურვება ინოვაციური ელემენტებით. იგეგმება მზის ენერგიაზე მომუშავე ნაგვის ურნების, გარე განათების, ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის აპარატის, ელექტრომოწყობილობების (მათ შორის, ელ.მობილების) დამტენი აპარატურების, ინოვაციური მიწისქვეშა წყლის რეზერვუარის დამონტაჟება“,** – აცხადებენ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდში“.

ტექნოლოგიური განვითარების ფონდის პროექტ „თბილისის მწვანე ქუჩის“ მენეჯერი გიორგი გაბიძაშვილი აცხადებს, რომ ინოვაციური ურნები ნაგავს ავტომატურად დაწნეხავს. მისი თქმით, ინოვაციურ ნაგვის ურნებთან ნაგვის დამცლელ მანქანას დღეში ორჯერ ან ერთხელ სჭირდება მისვლა, ამიტომ ეს ქუჩა უფრო ნაკლებად დაიტვირთება.

ასევე იგეგმება ავტობუსების გაჩერებებზე არსებულ მოსაცდელ სკამებზე მზის ენერგიაზე მომუშავე მოწყობილობის დამონტაჟება, სადაც მოქალაქეები შეძლებენ მობილური ტელეფონების დამუხტვას. მზის ენერგიას ასევე გამოიყენებენ ქუჩების გარე განათებისთვის. განთავსდება ე.წ. ჭკვიანი სკამები ჰაერის დაბინძურების ამსახველი მონიტორით, სადაც დაბინძურების ხარისხის პროცენტულ მაჩვენებელთან ერთად, ამინდის შესახებ ინფორმაციაც გამოისახება.

„ტექნოლოგიური განვითარების ფონდის“ ინფორმაციით პროექტის სრული ბიუჯეტი 2 მილიონ ლარს აღწევს. „მწვანე ქუჩის“ კონცეფცია ქართულ-გერმანულ კომპანიას „დაგენბახ ლენდსკეიპ“ ეკუთვნის, პროექტირებას კი, მთლიანად ქართული მხარე აწარმოებს. ახალი კონცეფციით კეთილმოწყობილი კარგარეთელის ქუჩის გახსნა შემოდგომაზე თბილისობის დღეებშია დაგეგმილი.

ვახტანგ გორგასლიძე

◎ რაგბი

„ბაგრატი“ – უმაღლესში, „ხარები“ ჩამოქვეითდნენ

დამთავრდა საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის რეგულარული გათამაშება. გაირკვა იმ გუნდების ვინაობა, რომლებიც ჩემპიონობისთვის განაგრძობენ ბრძოლას. რაც შეეხება რუსთავის „ხარებს“, ქვეითდნენ. მათ ნაცვლად უმაღლესში ქუთაისის „ბაგრატი“ დაწინაურდა.

ბოლო ტურში ერთმანეთს ლიდერები – თბილისის „ლელო“ და „ლოკომოტივი“ დაუპირისპირდნენ. უხვქულიან მატჩში ბოლო წუთზე ლაშა ხმალაძის მიერ გატანილი ზუსტი საჯარიმოთი „ლელომ“ გაიმარჯვა – 34:31 და რეგულარული გათამაშებაც დამაჯერებლად მოიგო. მეორეზეა რკინიგზელთა გუნდი. მათთან ერთად მედლებისთვის ბრძოლას ოთხი კლუბის წარმომადგენლები განაგრძობენ. ესენი არიან: გორის „ჯიქები“, ქუთაისის „აია“, „ბათუმი“ და ბოლნისის „ყოჩები“.

XVIII ტური

„ლელო“ – „ლოკომოტივი“ 34:31, „არმაზი“ – „ხარები“ 22:10, „ჯიქი“ – „ბათუმი“ 15:8, „არმია“ – „ყოჩები“ 16:10, „აკადემია“ – „აია“ 31:12.

სატურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
ლელო	18	14	1	3	+88	61
ლოკომოტივი	18	11	1	6	+38	52
ჯიქი	18	10	1	7	+93	50
ბათუმი	18	9	2	7	+22	47
ყოჩები	18	10	0	8	+21	46
აია	18	8	2	8	-12	41
აკადემია	18	7	0	11	-43	35
არმია	18	5	2	11	-60	32
არმაზი	18	5	1	12	-63	29
ხარები	18	6	0	12	-84	29

ნახევარფინალის შესარჩევი 16 აპრილი. „ჯიქი“-„აია“, „ბათუმი“-„ყოჩები“.

ლექსო ცინცაძე

◎ ყინულის ჰოკეი

მხოლოდ მასპინძლებს ჩამორჩებიან

ყინულის ჰოკეიში მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე დივიზიონის პირველობას სტამბოლი მასპინძლობს. მეორე ეშელონის ერთი საგზურისთვის ექვსი გუნდი იბრძვის. საქართველოს ნაკრებმა პირველ ტურში თურქებთან განცდილი დასანანი მარცხის (4:5 – 1:0, 1:3, 1:1) შემდეგ ზედიზედ სამი გამარჯვება იზეიმა: ჯერ ბოსნიას მოუგო – 8:0 (4:0, 2:0, 2:0), მერე სამხრეთ აფრიკას აჯობა – 6:5 (2:4, 1:0, 3:1). მეოთხე ტურში ჩვენი გუნდი ლუქსემბურგს დაუპირისპირდა და მშრალი ანგარიშით – 5:0 (1:0, 3:0, 1:0) გაიმარჯვა. პირველი პერიოდის მე-20 წუთზე ქართველებმა რიცხობრივი უპირატესობით ისარგებლეს და რევაზ ცომაიას ზუსტი გადაცემით ანგარიში არტიომ კურბატოვმა გახსნა. მე-2 პერიოდის დასაწყისში მანვე გამოიჩინა თავი ამჯერადაც ცომაიას პასით. პაექრობის ბოლომდე არტიომ კოზიულინმა როლანდ სვანიძისა და ბორის კოჩკინის ასისტენტობით სამი შაიბა გაიტანა. მე-4 ტურის კიდევ ორი პაექრობა ასე დასრულდა: ჰონკონგი – თურქეთი 1:5 (1:2, 0:2, 0:1), ბოსნია-სამხრეთი აფრიკა 0:10 (0:2, 0:7, 0:1).

ოთხი ტურის შემდეგ: თურქეთი – 12 (28:9), საქართველო – 9 (23:10), სამხრეთი აფრიკა – 9 (27:9), ლუქსემბურგი – 3 (11:19), ბოსნია – 3 (7:30), ჰონკონგი – 0 (7:26) ქულა.

შეჯიბრების მონაწილენი გუშინ ისვენებდნენ. დღეს ბოლო ტურში ითამაშებენ: სამხრეთი აფრიკა – თურქეთი, ჰონკონგი – საქართველო, ლუქსემბურგი – ბოსნია.

გივი გაგუა

◎ ფეხბურთი

„ქაირათიდან“ ბოროდიუკი ნავიდა და ცხადაძეს ნიშნავენ

ალმათის „ქაირათის“ მწვრთნელის პოსტიდან გადადგა რუსი ალექსანდრ ბოროდიუკი და როგორც ყაზახური პრესა წერს, მისი შემცვლელის ვინაობაც ცნობილია – კახა ცხადაძე.

ცხადაძე რამდენიმე დღის წინათ „ქაირათის“ ბაზაზე ნახეს. სავარაუდოდ, მხარეებს შორის მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა.

გეცოდინებათ, „ქაირათს“ 3 წლის განმავლობაში ვლადიმირ ვაისი წვრთნიდა, ახლა კი სლოვაკი საქართველოს ნაკრებს თავკაცობს. ვაისმა სწორედ ცხადაძე შეცვალა თანამდებობაზე.

კიდევ, ცხადაძე აზერბაიჯანულ „გაბალას“ მწვრთნელობის კანდიდატადაც განიხილებოდა. არის დიდი შანსი, რომ რომან გრიგორჩუკმა სეზონის ბოლოს დატოვოს „გაბალა“ და ცხადაძის ვარიანტზეც ითქვა, თუმცა, კახას „ქაირათში“ დანიშვნა თითქმის გადაწყვეტილია.

გიორგი შოთაძე

◎ ავტოსპორტი

როსბერგის ზედიზედ მეხუთე გამარჯვება

ნიკო როსბერგს ჯერჯერობით ბადალი არ ჰყავს. უკვე ხუთი რბოლაა, მის დამარცხებას თვით სამგზის მსოფლიო ჩემპიონი თანაგუნდელიც კი ვერ ახერხებს. მართალია, გერმანელს ამაში ხანდახან იღბალიც ეხმარება, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ ბედი მეტწილად სწორედ ძლიერებს სწყალობს. მართალია, მან ზედიზედ ორ სეზონში ვერ შეძლო ლუის ჰამილტონისთვის ტიტულის მოპოვებაში ხელის შეშლა, მაგრამ ეს წარსულია, აწმყოში კი ჯერჯერობით მხოლოდ ის იგებს!

ბაჰრეინში ნიკოს საქმე სტარტამდე გაუადვილდა – სტარტზე დადგომამდე ძრავი დაეწვა სებასტიან ფეტელს, ჰამილტონი კი კვლავ ნელა დაიძრა, რითაც კარგად ისარგებლა როსბერგმა. უფრო მეტიც, ჰამილტონს ვალტერი ბოტასმაც შეუტია, მაგრამ ვერ მოზომა და ჩემპიონს დაეჯახა. მართალია, ორივემ შეძლო რბოლის გაგრძელება, მაგრამ ფინელმა პოზიცია მოიგო, ჰამილტონი კი ჯერ პელოტონის შუაში აღმოჩნდა, შემდეგ კი ბოქსში შევიდა, რათა რეზინი გამოეცვალა.

ჰამილტონმა ძალიან მალე შეძლო მოწინავეთა რიგებში დაბრუნება, ბოტასი კი სტუარდებმა შეჯახებაში დამნაშავედ სცნეს და პიტლეინზე უქმად გავლა დააკისრეს. ოღონდ, სანამ ეს მოხდებოდა, მას ჯერ კიმი რაიკონენმა გასწრო, შემდეგ კი ჰამილტონმაც. ამ დროს კი როსბერგს უკვე მოესწრო სოლიდური ჰანდიკაპით დაწინაურება და ეს უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა.

აქედან მოყოლებული, რბოლისას ბევრი საინტერესო მანევრი შესრულდა, მაგრამ მხოლოდ პელოტონის შუა ნაწილში. როსბერგს არავისთვის მიუცია იმის საბაბი, რომ გასწრებაზე ეფიქრათ. ჰამილტონიც ერთხანს ცდილობდა მეორეზე გადანაცვლებას, მაგრამ რაიკონენის ტემპი ამის იმედს არ უტოვებდა. შუაში კი ბევრი ბრძოლა იყო, თუმცა, მხოლოდ ლოკალური, რომლებსაც არაფერი შეუცვლია.

„საოცარი უქმეები იყო. მთავარი მომენტი სტარტზე გვქონდა, თავიდანვე დავწინაურდი და იქიდან მოყოლებული, რბოლის კონტროლს ვცდილობდი“, – განაცხადა როსბერგმა, ვისი დებიუტი ფ1-ში სწორედ ბაჰრეინში შედგა ათი წლის წინათ და იქ პირველად ახლაღა გაიმარჯვა. ეს მისი მე-16 მოგებული დიდი პრიზია, რომლითაც თანაგუნდელთან უპირატესობა მან 17 ქულამდე გაზარდა.

კვლავ გაგვაოცა ფ1-ის დებიუტანტ „ჰაასის“ რომენ გროჟანმა, რომელმაც ამჯერად მე-5 ადგილი ბრძოლით მოიპოვა. პირველი სამეულის გარდა, ის მხოლოდ დანიელ რიკიარდოს ჩამორჩა და ორი წამით აჯობა მაქს ფერსტაპენს. ამით დასრულდა იმ პილოტების სია, რომლებმაც გამარჯვებულის წრეში დაასრულეს რბოლა, დანარჩენები კი როსბერგს წრეზე ჩამორჩნენ. მათ შორის იყო ფ1-ის ბელგიელი დებიუტანტი სტოფელ ვანდოორნი, რომელმაც ტრავმირებული ფერნანდო ალონსოს ნაცვლად იასპარეზა და ფ1-ში თავისი პირველი ქულაც აიღო. თან ეს ამ სეზონში „მაკლარენისთვის“ პირველი ქულაცაა.

კოგა კოგახიძე

◎ კალათბურთი

ბურუსისი ევროლიგის მარტის თვის საუკეთესო კალათბურთელია

თორნიკე შენგელიას თანაგუნდელი, „ლაბორალ კუჩას“ ბერძენი ცენტრი იანის ბურუსისი ევროლიგის მარტის თვის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. აღნიშნულ ინფორმაციას ლიგის ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.

მარტის თვეში „ლაბორალ კუჩამ“ 5 შეხვედრიდან სამი მოიგო. ბურუსისი საშუალოდ ერთ შეხვედრაში 18.4 ქულას, 9.2 მოხსნას, 2.8 ჩაჭრას და 1.3 პასს აგროვებდა. ბერძენი ცენტრის მარგი ქმედების კოეფიციენტმა 24.4-ს უწია.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ჟულიანა სალიმენი - „ქალი მოჩვენება“

ბრაზილიელი მოდელი და საფეხბურთო კლუბ „პალმეირასის“ თილისმა ჟულიანა სალიმენი ჩამწვარი სიგარეტივით ქალია, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველამ იცის ამ ქალთან მუდმივი ურთიერთობა მავნებელი რომაა, მაგრამ როცა ყველაზე ძალიან გიშლის ნერვებს, სწორედ მაშინ გინდება მასთან ყოფნა.

ჟულიანას უკან მოტოვებულ წლებს რომ გადავავლოთ თვალი, დავინახავთ, რომ ვისაც კი არ დაეზარა, ყველა ამ ქალს ეკურკურებოდა და ამ კურკურის დიდი ნაწილი წარმატებითაც დასრულებულა, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში სალიმენთან ვერავინ ჩერდება და სწორედ ამიტომაც ამ ქალს ბრაზილიაში "ქალი მოჩვენება" დაარქვეს.

ჟულიანა სალიმენი ამ ბოლო დროს მსახიობობამ გაიტაცა და ერთ-ერთ ბრაზილიურ ტელესერიალში მნიშვნელოვან როლსაც ასრულებს, მაგრამ როგორც მარტყოფელი ნოდარას სიდედრი ვეღარ გაცოცხლდება, ისე ვერ დადგება ამ ქალისგან დიდი მსახიობი. დიდს ვინ ჩივის, საერთოდ თუა მსახიობი – ეგეც საკითხავია.

როსტომ რაჭველიშვილი

მეტროპოლიტენის თანამშრომელთა ხელფასები

თბილისის სატრანსპორტი კომპანია თბილისის მეტროს თანამშრომლებისთვის მილიონი ლარის გამოყოფასთან, ასევე მათ სახელფასო ანაზღაურებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„მიუხედავად იმისა, რომ სატრანსპორტო კომპანიას გააჩნია შეზღუდული ფინანსური რესურსები, კომპანიის ხელმძღვანელობის ძალისხმევით, გამოიყო 1 მილიონი ლარი თბილისის მეტროს თანამშრომლებისთვის წელთა ნამსახურების ანაზღაურების მიზნით. აღნიშნული მოლაპარაკებები კომპანიის მენეჯმენტსა და მეტროს პროფესიული კავშირების წარმომადგენლებს შორის დაიწყო გასული წლიდან და ამ ეტაპზე კომპანია მზად არის, დასაქმებულებს გადაუხადოს დანამატი მათი სტაჟისა და დამსახურების მიხედვით, მას შემდეგ, რაც შეთანხმდება გადახდის პირობები და ტექნიკური საკითხები.

რაც შეეხება მემანქანეების მხრიდან წამოსულ დამატებით მოთხოვნებს ხელფასის მატებასთან დაკავშირებით, კომპანია აცხადებს, რომ მეტროს მემანქანეების სახელფასო განაკვეთი შედგება საათობრივი ანაზღაურებისგან, ასევე მავნე და მძიმე პირობების დანამატის, დღესასწაულებზე და ღამის საათებში შესრულებული სამუშაოს, კლასის (თანრიგის) დანამატის, ასევე მეცამეტე ხელფასისა და საალდგომო პრემიისგან. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე აქვე წარმოგიდგენთ მეტროს მემანქანეების საშუალო ხელფასებს:

დეპოს მორიგე — 1 455 ლარი;
დეპოს მანევრის მემანქანის თანაშემწე — 981 ლარი;
დეპოს მანევრის მემანქანე — 1 300 ლარი;
მემანქანე ინსტრუქტორი — 1 986 ლარი;
ხაზის მანევრის მემანქანე — 1 300 ლარი;
ხაზის მემანქანე — 1 731 ლარი;
ხაზის მემანქანის თანაშემწე — 1 096 ლარი.

თბილისის სატრანსპორტო კომპანიას ასევე გაფორმებული აქვს კოლექტიური ხელშეკრულება საწარმოში დასაქმებულთა გაერთიანებებთან (პროფესიულ კავშირებთან), რომელიც მიზნად ისახავს კომპანიაში დასაქმებულთა სოციალური და შრომითი პირობების გაუმჯობესებას და სოციალური პარტნიორობის პრინციპის დანერგვას. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში გაერთიანებების წევრებს კომპანია დამატებით უნაზღაურებს ერთჯერად ხარჯებს:

● დაოჯახების შემთხვევაში — 250-400 ლარი (დამატებით 10 სამუშაო დღე ანაზღაურებადი შვებულება;

● 375-700 ლარი (დამატებით ორი თვის სახელფასო ანაზღაურება;

● ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში — 250 -375 ლარი (დამატებით 5 სამუშაო დღე ანაზღაურებადი შვებულება;

● თანამშრომლის გარდაცვალების შემთხვევაში — 1000-ლარიანი დახმარება ოჯახს;

● კომპანიის ყველა თანამშრომელი სარგებლობს უფასო მგზავრობით (მეტრო, ავტობუსი, საბაგირო) და კორპორატიული ჯანმრთელობის დაზღვევით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სატრანსპორტო კომპანიაში დასაქმებულია 6000-მდე თანამშრომელი, რომელთა საერთო სახელფასო განაკვეთი შეადგენს კომპანიის საერთო შემოსავლების 65%-ს. აქედან გამომდინარე, კომპანია არ განიხილავს დასაქმებულთა ცალკეული ჯგუფისთვის (მემანქანეები) ანაზღაურების გაზრდას, ვინაიდან ეს გამოიწვევს სამართლიან უკმაყოფილებას სხვა თანამშრომლებში. შესაბამისად, ხელფასის მატება ყველა დასაქმებულისთვის საჭიროებს საკმაოდ დიდი ფინანსური რესურსების მოზიდვას, რისი საშუალებაც ამ ეტაპზე კომპანიას არ გააჩნია.

თავის მხრივ, სატრანსპორტო კომპანია მოუწოდებს მეტროს მემანქანეებს უფრო მეტად გაითავისონ ის პასუხისმგებლობა, რაც მათ გააჩნიათ საზოგადოების წინაშე და ზუსტად გააანალიზონ გაფიცვის შედეგები, რომელიც გამოიწვევს ქალაქის სატრანსპორტო ქსელის მნიშვნელოვან შეფერხებას, ვინაიდან თბილისის მეტროს მომსახურებით ყოველდღიურად 300 ათასამდე მგზავრი სარგებლობს.“ — ნათქვამია თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, პროფესორი

ზურაბ

ოქროსცვარიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ბატონი ზურაბი მრავალი წლის განმავლობაში თავის მდიდარ ცოდნას და გამოცდილებას ახმარდა მეტალურგთა ახალი თაობების აღზრდას. იგი იყო მრავალი სამეცნიერო სტატიის, სახელმძღვანელოსა და გამოგონების ავტორი.

ზურაბ ოქროსცვარიძის სახით ქართულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. ღირსეული მამულიშვილისა და კოლეგის, უაღრესად გულთბილი, ყურადღებიანი, ნიჭიერი ადამიანის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი კოლეგების, მეგობრებისა და მოწაფეების გულში.

პანაშვიდი: 5, 6 IV, 16 სთ. გამოსვენება 7 IV, 14 სთ. მისამართი: თბილისი, აფხაზეთის ქ. № 28.

ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი, პროფესორი

ზურაბ

ოქროსცვარიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

© რა გქვია შენ?

„ცეცხლის შემკრები“, „ყაყაჩოები“, „ეზის ამოსვლა“ და...

რამდენიმე ათეული წლის წინათ, ყოფილ საბჭოთა კავშირში, ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს დაარსებული ჟურნალი „ვოკრუგ სვეტა“ („Вокруг света“) იმდენად პოპულარული იყო, რომ მისი ყიდვა საგაზეთო ჯიხურებში შეუძლებელი იყო — მას ან გამოწერით იღებდნენ, ან ბიბლიოთეკებში კითხულობდნენ, ან ნაცნობობით „შოულობდნენ“. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, ჟურნალმა, რომელიც ადრეც გამორჩეული იყო შესანიშნავი პუბლიკაციებით, იერ-სახე იცვალა და გაცილებით უფრო მიმზიდველი გახდა. ამ ჯერზე ერთობ საგულისხმო მასალას გთავაზობთ ამ ჟურნალიდან, რომელიც აზიის ზოგიერთი სახელმწიფოს სახელწოდების წარმომავლობასა და წარმოშობის მოკლე ანოტაციას ეხება.

აზერბაიჯანი: „ცეცხლის შემკრები“. მხარეში ზოროასტრიზმი იყო გავრცელებული, რომლის მიმდევრებს „ცეცხლთაყვანისმცემლებს“ უწოდებდნენ, რადგან ფიზიკურ სამყაროში უფლის ხილულ გამოსახულებად სინათლე, მათ შორის ცეცხლი იყო მიჩნეული. ავესტურად „ცეცხლი“ — „ატარია“, შუასპარსულად —„აადური“. სპარსელი გეოგრაფები რეგიონს „ადარბადაგანს უწოდებდნენ, რაც ტრანსფორმირების შემდეგ „აზერბაიჯანად“ იქცა.

სომხეთი („არმენია“). სახელწოდება, შესაძლოა, სომხეთის ზეგანზე „არმის“ ოლქიდან იყოს წამოსული. ფორმა „არმინა“ პირველად მეფე დარიოს პირველის ბექისთუნის წარწერაშია მოხსენიებული, რომელიც ირანის ქალაქ ქერმანშაჰის მახლობლად კლდეზეა ამოკვეთილი. კუთვნილი 23 ქვეყნის ჩამოთვლისას, დარიოსი „არმენიასაც“ ახსენებს. სომხების თვითსახელწოდება „ჰაი“ ქვეყნის ლეგენდარული დამაარსებლის გოლიათ „ჰაიკის“ სახელიდან მომდინარეობს.

ყაზახეთი. „ყაზახთა ქვეყანა“, რაც, ერთ-ერთი ვერსიით, „თავისუფალს“ ნიშნავს, მე-15 საუკუნის შუაში რამდენიმე ტომი უზბეკეთის სახანოს გამოეყო, რომელმაც მე-16 საუკუნის მიწურულს ყაზახეთის სახანო შექმნეს.

საქართველო „ქართველთა სამოსახლო მხარე“.

ლიბანი — იქაური ქედის სახელწოდების მიხედვით, რაც ძველსემიტურად „თეთრს“ ნიშნავს, რადგან მისი მწვერვალები ზამთარში თოვლითაა დაფარული.

თურქეთი — ოდესღაც ასე ცენტრალური აზიის მოხეტიალე და ნახევარმოხეტიალე ტომებს უწოდებდნენ.

ისრაელი — 1948 წელს სახელმწიფოს შექმნისას სახელწოდების რამდენიმე ვარიანტი განიხილებოდა, მათ შორის სიონი, იუდეა. ისრაელი კი მამა იაკობის სახელისდა მიხედვით შეარჩიეს, რომელიც მან ღმერთთან ჭიდილის შემდეგ მიიღო. ერთ-ერთი ვერსიით სახელწოდება ზმნა „სარარიდან“ წარმოიშვა, რაც „მართვას“ ნიშნავს.

უზბეკეთი — „უზბეკთა ქვეყანა“. შესაძლოა, იგი ოქროს ურდოს ყაენის უზბეკის სახელიდანაა წარმოშობილი.

ავღანეთი — „ავღანელთა ქვეყანა“ — ეთნონიმი ჩ.წ.ა.-მდე მე-3 საუკუნიდანაა ცნობილი. ავღანელები კი თავს „პუშტუნებს“ უწოდებენ.

პაკისტანი — შეიქმნა 1947 წელს. ესაა ხუთი რეგიონის სახელწოდების აბრევიატურა. „პ“ — პენჯაბი, „ა“ — ავღანია, „კ“ — კაშმირი, „ს“ — სინდი. „ტანი“ პროვინცია ბელუჯისტანის სახელწოდების ბოლო სამი ასოა. ურდუს ენაზე „პაკი“ — სუფთას, უმწიკვლოს ნიშნავს, „პაკისტანი“ კი კეთილშობილი, უმწიკვლო ხალხის ქვეყანაა.

სირია — ამ ფორმით ქვეყნის სახელწოდება ჯერ კიდევ ბაბილონისდროინდელ სოლისებრ წარწერებიან ფირფიტებზეა აღბეჭდილი, თუმცა კი, ახსნა უცნობია. თუკი კაცი წმინდა ქვა ქაababსთან პირით აღმოსავლეთით დადგება, სირია ხელმარცხნივ, ჩრდილოეთით (ეშ-შამი) აღმოჩნდება. ამიტომაცაა, რომ არაბები მას ხშირად ეშ-შამს უწოდებენ.

ძუვეიტი — დედაქალაქის ელ-ქუვეითის სახელწოდებიდან მომდინარეობს, რაც არაბულად „პატარა ციხე-სიმაგრეს“ ნიშნავს.

ერაყი — არაბულად „ნაპირს“, „სანაპიროს“ ნიშნავს. სახელწოდება ჩ.წ.ა.-მდე მე-7-მე-8 საუკუნეებში გაჩნდა.

ირანი — სახელწოდება 1935 წელს მიიღეს (მანამდე სპარსეთი) და ეთნოსის სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს — ძველი ინდოირანელები საკუთარ თავს არიებს უწოდებდნენ, რაც, როგორც ჩვენს, ძველინდური „ბატონიდან, სახლის პატრონიდან“ მომდინარეობს.

ჩინეთი — ევროპულ ენებში გავრცელებულია Chin ფუძესთან დაკავშირებული ფორმა, რომელიც, როგორც ჩანს, სანსკრიტულ cines-ს („ჩინურს“) უკავშირდება, რომელიც, შესაძლოა დინასტია ცინიდან წამოვიდა. თავად ჩინელები თავიანთ ქვეყანას ჯუნგოს —„შუაგულის იმპერიას“ უწოდებენ (ჯუნ —„ცენტრი“, „შუაგული“, გო —„ქვეყანა“, „სახელმწიფო“).

მონღოლეთი — ეთნონიმი, შესაძლოა, სიტყვა „მონღ“-იდან —„მამაცი“ მომდინარეობს, რომელიც ტანის ეპოქის (მე-7-მე10 სს.) ჩინურ ქრონიკებში გვხვდება. ჩინელთათვის ეს სახელწოდება „მოგუთან“ — „ეშმასთან“ იყო გაიგივებული, რადგან მონღოლები უაღრესად საშიში მეზობლები იყვნენ.

კორეა — ქვეყნის ოფიციალური სახელწოდება კორეულად ასე ჟღერს — „ტეჰან მინგუკი“ (დიადი ხანის რესპუბლიკა). თუმცა ყოველდღიურ ყოფაში კორეელები ქვეყანას „ხანგუკს“ ან „ტეხანს“ უწოდებენ.

იაპონია — სახელწოდება „ნიპონი“ მე-7 საუკუნეში გაჩნდა (მანამდე „იამატო“ იყო). ჩინური იეროგლიფების დაწერილი იგი როგორც „ჟი ბენი“ იკითხება, რაც „მზის ამოსვლას“ ნიშნავს (რაც გეოგრაფიულად მართებულია, რადგან იაპონია ჩინეთის აღმოსავლეთით მდებარეობს). სხვადასხვა ევროპულ ენაში „ჟი ბენი“ „ჯაპანად“, „უაპონად“, „იაპონიად“ და ა.შ. ტრანსფორმირდა.

განცხადება

2016 წლის 30 მაისს 14 საათზე ქ. ბათუმში ჭავჭავაძის ქ. №59-ში (მე-2 სართ.) გაიმართება შპს „ტერმინალ.1“-ის (ს/კ 416313885) ტერიტორიაზე (ბათუმი, გოგებაშვილის ქუჩა) ნავთობბაზის მშენებლობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ტერიტორიაზე ნავთობბაზის მშენებლობა.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართზე:

— ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №59 (მე-2 სართ. კომპანიის ოფისი).

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირი: გიორგი ჟვანია — მობ: 591 70 56 50.

შპს „ტერმინალ.1“-ის ადმინისტრაცია

რეჟისორის ფილმები საჩუქრად ეროვნულ არქივს

კინორეჟისორმა ლანა ღოღობერიძემ იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივს საკუთარი მხატვრული ფილმების — „დღეს ღამე უთენებია“ (1983), „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ (1978) და „ორომტრიალი“ (1986) — 35მმ-იანი კინოფირის პოზიტიური ასლები გადასცა.

ეროვნული არქივის კინოგანყოფილება ახალ დოკუმენტებს საარქივო წესით დაამუშავებს, რის შემდეგაც კინოფირები თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ საცავში გადაინაცვლებს და დაინტერესებული პირებისათვის მკვლევართა დარბაზის მეშვეობით გახდება ხელმისაწვდომი.

გარდა ამისა, ლანა ღოღობერიძემ მონაწილეობა მიიღო ეროვნული არქივის პროექტში „ერთი ფილმის ისტორია“. მან პროექტის ავტორის გიორგი კაკაბაძის ვიდეოკამერის წინ გაიხსენა ფილმის „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ გადაღების ისტორია.

ეცადეთ, გამოიძინოთ!

გარკვეული კავშირი გამოუძინლობასა და უნდობლობას შორის დაადგინეს მედიკოსებმა.

აღმოჩნდა, რომ კაცი, რომელსაც ექვს საათზე ნაკლები სძინავს, არასწორად აფასებს გარშემო მყოფთა განწყობებსა და ემოციებს. ნეიტრალურ და მეგობრულად განწყობილ ადამიანებსაც კი იგი მტრებად აღიქვამს.

მეცნიერთა აზრით, ძილის უკმარისობა აუარესებს ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემების ურთიერთობას, რაც მკვეთრად აქვეითებს მნიშვნელოვანი სოციალური სიგნალების დამუშავებას.

ბროკოლი... ართრიტის წინააღმდეგ

ბრიტანელმა მეცნიერებმა ბროკოლის ერთ-ერთი კომპონენტის სინთეტიკური ვერსია შეიმუშავეს, რომელიც, შესაძლოა, ართრიტის საუკეთესო სამკურნალო საშუალება გახდეს.

ლაპარაკია ნივთიერება სულფორაფანზე, რომელიც ართრიტთან დაკავშირებულ ანთებითი პროცესებისა და ხრტილოვანი ქსოვილის დაზიანების ბლოკირების საშუალებას იძლევა. აღნიშნულ კომპონენტს ბროკოლი მცირე ოდენობით შეიცავს, ამიტომაც თერაპევტული ეფექტის მისაღებად საჭირო იქნებოდა ყოველდღიურად რამდენიმე კილოგრამი ამ ბოსტნეულის ჭამა. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ წამლად გარდაქმნის პროცესში სულფორაფანი საკმაოდ არასტაბილური ნივთიერებაა.

ბრიტანელმა ფარმაცევტებმა შეძლეს კომპონენტის ქიმიური ვერსიის დამუშავება, რომლის საფუძველზე შესაძლებელია ართრიტის სამკურნალო პრეპარატის წარმოება. თაგვებზე ჩატარებული ცდებით დადგინდა, რომ პრეპარატი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ძვლოვანი ქსოვილის სტრუქტურასაც და ცხოველთა მოძრავუნარიანობასაც.



თუ პირში „ლითონის“ გემო გიჩნდებათ...

ხშირია შემთხვევა, როცა ზოგიერთს პირში „ლითონის“ გემო უჩნდება.

ასეთი რამ ხშირად იმათ მოსდით, ვისაც კბილის პროტეზები, ბრეკეტები, ხელოვნური გვირგვინები და ა.შ. აქვთ. ზოგჯერ ეს გემო ღრძილების სისხლდენის გამო წარმოიშვება ხოლმე, რომელიც რკინას შეიცავს, ანდა დაჟანგულ მილებში გამოვლილი წყლის დალევის შემდეგ. ასევე გამორიცხული არ არის ასეთი გემოს წარმოშობა დარიშხანით, თუთიით, სპილენძით, სხვა ლითონებით მოწამვლის დროს, ანდა ვიტამინების უკმარისობის შემთხვევაში.

ლითონის გემო ზოგჯერ ახლავს შაქრის დიაბეტს, ქრონიკულ გასტრიტს, ფარისებრი ჯირკვლის, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს. ამ შემთხვევაში აუცილებელია გასტროენტეროლოგისა და ენდოკრინოლოგის კონსულტაცია.

რძიანი ჩაი და... ლამაზი ღიმილი

თურმე, რძიანი ჩაი კბილების სითეთრის შენარჩუნებას უწყობს ხელს.

აღმოჩნდა, რომ ჩაის ტანინები, რომლებიც მას მწკლარტე გემოს აძლევს, კბილებს ღებავენ. ამის ხელის შემშლელია კაზეინი, რომელიც ტანინებთან ბმაში შედის და კბილების შეღებვის საშუალებას არ აძლევს.

ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ რძიანი ჩაი პლომბიანი და კარიესული კბილების სიქათქათესაც იცავს.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **აბრამ, მოდი რა, საახალწლო ზეიმზე მეზობლები მოვიწვიოთ! — ეუბნება სარა ქმარს.**

— **რად გინდა ისინი?**

— **უფრო მხიარულად ვიქნებით.**

— **სარა, ვერაფრით გამიგია, რატომ გამხიარულებს ის, რომ ჩვენთან ვიღაც-ვიღაცები მოდიან და საჭმელს გვიჭამენ?!**

* * *

ყველაზე დიდი და გაუმჭვირვალე ოფშორული ზონა სახელმწიფო ბიუჯეტია. მთელი ქვეყანა გადარიცხავს ხოლმე იქ თავის ფულს და აზრზეც არ არის, რა სქემებით გამოდის იქიდან შეტანილი თანხები.

* * *

რჩევა: კარგად დაფიქრდი, ვისთან ერთად იქურდებ. ხომ შეიძლება, მასთან ერთად მოგიხდეს ჯდომა.

* * *

— **დედი, ნახე, როგორც კი ამ ნამცხვარს ჩვენს ძაღლს გადავუგდებ, მისი კუდი მუდამ ზევით იწევა.**

— **შვილო, მამაშენისთვის შეინახე ეს ნამცხვარი.**

* * *

— **გზა მამაკაცის გულისკენ კუჭის გავლით მიდის.**

— **რა სისულელეა! მართლა გგონიათ, რომ კაცი საყვარელთან ბორშის შესახვრეპად დადის?**

კანონიერი ქურდი პატიმრობაში რჩება

საკასაციო სასამართლოს მოსამართლე ნინო ქადაგიძემ არ დააკმაყოფილა ადვოკატების საჩივარი იმასთან დაკავშირებით, რომ ე.წ. „კანონიერი ქურდი“ ტარიელ ფოცხვერია საპატიმრო დაწესებულებიდან გათავისუფლებულიყო.

ადვოკატების ინფორმაციით, ფოცხვერია მძიმედ არის დაავადებული და მისი პატიმრობაში ყოფნა დაუშვებელია.

ადვოკატების სარჩელის მოპასუხე მხარეები იყვნენ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, აღნიშნულ ორ უწყებას ერთობლივი კომისიის ფარგლებში დაეევალათ ტარიელ ფოცხვერიას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა და შესაბამისი დასკვნის მომზადება.

2013 წელს, ციხიდან გათავისუფლებული ტარიელ ფოცხვერია სამართალდამცავებმა 2 კვირაში ისევ უკან შეაბრუნეს. „წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი, 1959 წელს დაბადებული ტარიელ ფოცხვერია „კანონიერი ქურდობის“ ბრალდებით დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ის არის ე.წ. „კანონიერი ქურდი“ და ქურდულ სამყაროს აღიარებს. იგი ქურდული სამყაროს სასარგებლოდ აწყობდა ქურდულ გარჩევებს, იღებდა ე.წ. ქურდულ გადაწყვეტილებებს, მითითებებს აძლევდა ქურდული სამყაროს სხვა წევრებს და მათი გავლენის ქვეშ მყოფ პირებს. კავშირი ჰქონდა ქურდული სამყაროს მაღალ იერარქიულ საფეხურზე მყოფ საზღვარგარეთ მცხოვრებ სხვა პირებთან“, — ნათქვამი იყო სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

რეკლამა
29 3-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.315; ევრო - 2.641;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.311;
100 რუბლი - 3.451; თურქული ლირა - 0.821;
აზერბაიჯანული მანათი - 1.501;
1000 სომხური დრამი - 5.818

ამინდი 6 აპრილისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +1,	დღე +18
მთიანი რაიონები -	ღამე -10,	დღე +8
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +2,	დღე +18
მთიანი რაიონები -	ღამე -3,	დღე +14
თბილისი:	ღამე +3,	დღე +16

ჩვენი მისამართია:
თბილისი, მაჩაბლის ქ. №7
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE